წლიური ანგარიში

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

2023

IDFI

ინფორმირებული და ძლიერი
საზოგადოება დემოკრატიული
მმართველობისთვის

სარჩევი

- შესავალი 3
- ღია მმართველობა და კორუფციასთან ბრძოლა 6
- კანონის უზენაესობა და მედიის თავისუფლება 18
- ადგილობრივი მმართველობა 24
- ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა 30
- ინტერნეტი და ინოვაციები 35
- მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევები 41
- კონსულტაციები 51
- IDFI-ს დონორი ორგანიზაციები 53
- 2023 წელს დაწყებული პროექტები 55
- 2023 წლის ფინანსური ანგარიში 60

შესავალი

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI) წინა წლების მსგავსად, 2023 წელს აქტიურად მუშაობდა ისეთ მიმართულებებზე, როგორებიცაა კანონის უზენაესობა, ადამიანის უფლებები, მედიის თავისუფლება, ღია მმართველობა, კორუფციასთან ბრძოლა, ინტერნეტი და ინოვაციები, ადგილობრივი მმართველობა, სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკა და მეხსიერება და დეზინფორმაცია.

ორგანიზაცია აქვეყნებდა მტკიცებულებებზე დაფუძნებულ კვლევებსა და ანალიტიკურ ნაშრომებს ძირითადი მიგნებებითა და რეკომენდაციებით. ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგისა და თანმდევი ადვოკატირების გზით IDFI ეხმაურებოდა ქვეყანაში მიმდინარე სხვადასხვა პრობლემურ საკითხს და ცდილობდა ხელი შეეწყო საქართველოში დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებისთვის.

2023 წლის განმავლობაში, IDFI აქტიურად მუშაობდა კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობის მიზნით. ორგანიზაცია ეტაპობრივად ახორციელებდა მნიშვნელოვან აქტივობებს ევროკავშირის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებისა და ნაბიჯების შესრულების ხელ-შესაწყობად.

2023 წელს, IDFI აგრძელებდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყოველწლიურ მონიტორინგს და ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით აქტიურად მიმართავდა სამართალწარმოებას. ამასთანავე, IDFI განაგრძობდა, ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე, ჟურნა-ლისტების სამართლებრივ დახმარებას.

2023 წელს, IDFI-მ აქტიურად იმუშავა ისეთ საკითხებზეც, როგორიცაა ციფრული უფლებები, კიბერ უსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი, საჯარო სექტორში ახალი ტექნოლოგიების გამოყენება და ა.შ.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, 2023 წელს, IDFI-ს ძალისხმევა რუსული კანონის პარლამენტის დღის წესრიგიდან მოხსნის მიმართულებით. IDFI იყო ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია, რომელმაც აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით საერთაშორისო პრაქტიკის ვრცელი ანალიზი მოამზადა და გამოაქვეყნა, რამაც წვლილი შეიტანა არგუმენტირებული საჯარო დისკუსიის წარმართვაში.

აღნიშნულ კანონთან ბრძოლის ფონზე, ასევე მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენდა დეზინფორ-მაციასთან ბრძოლა, რის ფარგლებშიც გამოქვეყნდა არაერთი ანალიტიკური სტატია თუ კვლევა. სტატიები მომზადდა საბჭოთა წარსულზე, მასთან დაკავშირებულ კოლექტიურ მეხსიერებასა და რუსულ დეზინფორმაციაზე.

წინა წლის მსგავსად, IDFI 2023 წელსაც აგრძელებდა ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებული აქტივობების მასშტაბის გაზრდას და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგს. IDFI-მ, პარტნიორ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის საფუძველზე, მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების 2023 წლის რეიტინგი გამოაქვეყნა.

2023 წელს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების ანალიზით IDFI-მ მოიცვა საპენსიო რეფორმა, განათლება, ჯანდაცვა, რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, საბიუჯეტო ხარჯვის ოპტიმიზება. ასევე, შეფასდა კანონპროექტების მომზადებისას კერძო სექტორსა და მთავრობას შორის დიალოგის მასშტაბი და ხარისხი.

2023 წლის განმავლობაში IDFI აცხადებდა კონკურსებს, ამზადებდა ანალიზებს, რეკომენდაციებს, საინ-ფორმაციო მასალებს, რითიც ცდილობდა საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას.

2023 წელს IDFI-მ მოამზადა:

- 57 კვლევითი დოკუმენტი (ანალიზი, ანგარიში, კვლევა)
- 13-მდე ვიზუალიზაცია
- 20-მდე საინფორმაციო ვიდეო
- 6 ბლოგპოსტი

2023 წელს IDFI-მ გამართა:

- 8 ტრენინგი და ლექცია
- 36 პრეზენტაცია / დისკუსია / შეხვედრა
- 2 სასწავლო პროგრამა („დეზინფორმაცია და პროპაგანდის კვლევა” და “კორუფ-ციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამა“)
- გამართა და მონაწილეობა მიიღო 8 საერთაშორისო კონფერენციაში

2023 წელს:

- IDFI-მ დაიწყო 17 ახალი პროექტი
- გაფორმდა 1 მემორანდუმი
- გამოცხადდა 4 კონკურსი, 1 ვაკანსია, 1 სტაჟირება
- IDFI-ს პროექტმა მიიღო 6 ჯილდო (2 ოქრო, 3 ვერცხლი, 1 ბრინჯაო)
- გავრცელდა 40-მდე განცხადება
- ორგანიზაციას ეწვია 7 ქვეყნის ელჩი
- IDFI-ს თანამშრომლების რაოდენობა საშუალოდ იყო 25 ადამიანი

ლია მმართველობა და კორუფციასთან ბრძოლა

2023 წელს, IDFI აქტიურად განაგრძობდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მონიტორინგს, მონაწილეობდა და მართავდა ადგილობრივ და საერთაშორისო ღონისძიებებს, მონიტორინგს ახორციელებდა და ადვოკატირებას უწევდა ღია მმართველობის, საჯარო ადმინისტრირებისა და კორუფციასთან ბრძოლის რეფორმებს.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოში

Sida-ს ფინანსური მხარდაჭერით, IDFI-მ განაგრძო საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყოველწლიური მონიტორინგი, რომელსაც ორგანიზაცია 2010 წლიდან უწყვეტად ახორციელებს. 374 საჯარო დაწესებულებაში გაგზავნილი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის 7,582 წერილის მიხედვით ჩატარებული მონიტორინგის შედეგებით, ქვეყანაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ხარისხი წინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გაუარესდა. 2022 წელს მიღებული პასუხების პროცენტული მაჩვენებელი (58%), 2010 წლის შემდეგ ყველაზე დაბალი შედეგია. ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი საჯარო დაწესებულებათა უმრავლეს კატეგორიაში გაუარესდა, თუმცა განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია სამინისტროები და მათ დაქვემდებარებაში მყოფი უწყებები, რომლებმაც მასშტაბურად უპასუხოდ დატოვეს IDFI-ს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნები.



2022 წელს საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული პასუხების რადიკალურად გაუარესებული მაჩვენებელი, შესაძლებელია, შეფასდეს როგორც მთელ რიგ უწყებებში ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ნეგატიური ცვლილებები, რასაც ხელი შეუწყო მოთხოვნილი ინფორმაციის გასაჯაროების დაფარვის სურვილმა. მოკლევადიან პერიოდში ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუარესების არსებული მასშტაბი აჩენს მნიშვნელოვან ეჭვებს საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, შეზღუდოს ქვეყანაში ინფორმაციის თავისუფლება.

- სრულყოფილი პასუხი – 33%
- უპასუხო - 50%
- არასრულყოფილი – 14%
- უარი - 3%
- 10 დღიანი ვადის დაცვა - 35%

ცენტრალურ საჯარო დაწესებულებებს შორის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ყველაზე მაღალი მაჩვენებლები მიიღო საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ (95.36%) და საქართველოს პარლამენტის აპარატმა (85.39%). საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მაჩვენებელმა მხოლოდ 18.31% შეადგინა.

2022 წელს ყველა სამინისტრომ, წინა წელთან შედარებით, ინფორმაციის ხელმისაწვდომობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად გააუარესა. მათ შორის, გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (-88%), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო (-84%), ჯანდაცვის სამინისტრო (-66%).

შედეგების პრეზენტაცია 2023 წლის 10 მარტს გაიმართა. მთავარი მიგნებების, გამოწვევებისა და რეკომენდაციების ეფექტური კომუნიკაციისთვის, მომზადდა და სოციალურ ქსელებში ფართოდ გავრცელდა **ინფორმაციული** ვიდეო **და** პოსტერი**.**

ბოლო წელს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის კუთხით არსებული გამოწვევების კიდევ ერთხელ საჩვენებლად, IDFI-მ 2023 წლის 28 სექტემბერს ინფორმაციის თავისუფლების საყოველთაო დღესთან დაკავშირებით მოამზადა და გაავრცელა განცხადება.

გარდა ამისა, IDFI-მ 128 საჯარო დაწესებულების მიერ **ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების** სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგიც განახორციელა. 2022 წელს საჯარო ინფორმაციის პროაქტიული ხელმისაწვდომობის საშუალო მაჩვენებელი 60% იყო, რაც **4%-ით აღემატება 2021 წლის ანალოგიურ მაჩვენებელს**.

ინფორმაციული და ინტერაქციული ქვიზი საქართველოს ბიუროკრატიის შესახებ

საჯაროდ ხელმისაწვდომი მონაცემების, საქართველოს ბიუროკრატიის საკითხებისა და IDFI-ს წინა კვლევების შესახებ მოქალაქეების ცნობიერების გაზრდის მიზნით, მომზადდა ინტერაქციული ქვიზი**,** რომელიც ხელმისაწვდომი გახდა ონლაინ მედია საშუალების, ON.GE-ის ქვიზების სპეციალურ მოდულში და ფართოდ გავრცელდა ON.GE-ისა და IDFI-ს სოციალურ მედია გვერდებზე. ამავდროულად, საქართველოში ევროკავშირის დელეგაციის მიწვევით, ევროპის დღის აღნიშვნის ღონისძიებაზე, IDFI-მ ქვიზის გამოყენებით სპეციალური სესია მოაწყო.

სასამართლო სტატისტიკის მოდული

IDFI-მ, უზენაესი სასამართლოს ვებგვერდზე ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, **მონაცემები** განაახლა სასამართლო სტატისტიკის მოდულში. დაინტერესებულ პირებს მოცემული პროგრამის საშუალებით შეუძლიათ გაეცნონ სასამართლო პრაქტიკის ტენდენციებს 2010-2022 წლებში. მათ შორისაა: სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილი განაჩენების სტატისტიკა, აღკვეთის ღონისძიების გამოყენება, ადმინისტრაციული დავების შედეგები, ფარული მიყურადების შუამდგომლობები, ოჯახში ძალადობის შემთხვევები და ა.შ.

დამუშავებულ მონაცემებზე დაყრდნობით, მომზადდა და გამოქვეყნდა ანალიტიკური ნაშრომი „საერთო სასამართლოების ძირითადი სტატისტიკური მონაცემების ანალიზი (2010-2022)“.

ღია მმართველობის პარტნიორობის ინიციატივაში ჩართულობა

ეროვნული დონე

ღია მმართველობის ახალი სამოქმედო გეგმის შემუშავების დროს, IDFI-მ უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოს საკუთარი რეკომენდაციები წარუდგინა, რომელთაგან საჯარო უწყებების მხრიდან მხოლოდ ნაწილი იქნა გათვალისწინებული. მთავრობის მხრიდან პოლიტიკური ნების არარსებობის გამო, გაეთვალისწინებინა სამოქალაქო საზოგადოების რეკომენდაციები და OGP-ის ახალი სამოქმედო გეგმის მიღების პროცესი წარემართა თანაშექმნის პრინციპებით, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა ერთობლივად გადაწყვიტეს არ დასწრებოდნენ საბჭოს შემდგომ სხდომებს. კრიზისი განსაკუთრებით გამწვავდა 2023 წელს პარლამენტში რუსული კანონის წარდგენის შემდეგ. OGP-ის სამოქმედო გეგმის შემუშავების ორი ციკლის გამოტოვებით და განგრძობადი უმოქმედობით, ქვეყანა OGP კრიტერიუმებისა და სტანდარტების ქვეკომიტეტის (C&S) შემოწმებას დაექვემდებარა.

მთავრობის მიერ ცალკეული ვალდებულებების გათვალისწინების შესახებ მზაობის შემდეგ, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციამ შეძლო 2023 წლის ბოლოს მიეღო ღია მმართველობის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა. სამოქმედო გეგმის შექმნის საწყის ეტაპზე, IDFI-მ 8 ინიციატივა წარადგინა, რომელთაგან 3 შეთავაზება არ იქნა გათვალისწინებული, 4 რეკომენდაცია გათვალისწინებულ იქნა სხვა სამთავრობო სტრატეგიებში/საკანონმდებლო წინადადებებში, და საჯარო ინფორმაციის პროაქტიული გამოქვეყნების შესახებ მერვე რეკომენდაციიდან, რომელიც 6 კომპონენტისგან შედგებოდა, 4 კომპონენტი იქნა გათვალისწინებული.

ღია პარლამენტი

რაც შეეხება საქართველოს **პარლამენტში OGP ინიციატივებს,** კანონმდებლების მცდელობის გამო მიეღოთ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტი, რომელიც იყო რუსეთში არსებული კანონის ანალოგი, ღია მმართველობის მუდმივმოქმედი საბჭოს საკონსულტაციო ჯგუფში შემავალმა ორგანიზაციებმა, მათ შორის IDFI-მ, 2023 წლის მარტში შეაჩერეს საკონსულტაციო ჯგუფის წევრობა.

Open Government Partnership

კანონპროექტის მიზანი იყო სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების იძულება დარეგისტრირებულიყვნენ „უცხოეთის გავლენის აგენტების რეესტრში“, რათა მომხდარიყო მათი სტიგმატიზება და საზოგადოებაში დისკრედიტირება, ასევე სამოქალაქო საზოგადოების კონტროლი, საბოლოო ჯამში კი მათი საქმიანობის შეზღუდვა და გაუქმება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ღია უმაღლესი საბჭო

IDFI-ს ცალკეული მიღწევები ჰქონდა აჭარის უმაღლეს საბჭოში ღია მმართველობის პრინციპების გაუმჯობესების კუთხით. კერძოდ, IDFI დაეხმარა საბჭოს ორი მიმართულებით, რამაც მოიცვა:

- ღია მმართველობის საბჭოსა და სტრატეგიული განვითარებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტისათვის ღია მმართველობის საკითხებზე თემატური მოკვლევის ფარგლებში მიღებული მოსაზრებებისა და ინფორმაციების დამუშავებაში, თემატური მოკვლევის ანგარიშისა და რეკომენდაციების მომზადებაში კონსულტაციის გაწევა და დახმარება;
- უმაღლესი საბჭოს დეპუტატებისათვის საზედამხედველო მექანიზმების შესახებ გზამკვლევის შემუშავებისას კონსულტაციის გაწევა და უკუკავშირის მიწოდება გზამკვლევის სრულყოფისათვის.

საჯარო ადმინისტრირების რეფორმის (PAR) შესახებ ადვოკატირება

IDFI-მ განაგრძო საჯარო მმართველობის რეფორმის ახალ სტრატეგიულ დოკუმენტებში **ამბიციური რეფორმების/ვალდებულებების ადვოკატირება.** IDFI-ს წარმომადგენლები საანგარიშო პერიოდში დაესწრნენ PAR-ის საბჭოს ორ სხდომას და წარადგინეს თავიანთი წინადადებები. მთავრობამ მხოლოდ 5-მდე წინადადება გაითვალისწინა, ხოლო ზოგიერთი მნიშვნელოვანი და ამბიციური ვალდებულება საჯარო უწყებების ყურადღების მიღმა დარჩა.

V-DEM კვლევის შედეგების საფუძველზე საქართველოს შესახებ ანალიზი

საერთაშორისო რეიტინგებსა და გამოკითხვებში საქართველოს პოზიციების გასაგებად, IDFI-მ V-Dem-ის კვლევის შედეგები გაანალიზა, რამაც აჩვენა, რომ **2021 წელს საქართველოში დემოკრატიის ხარისხი გაუარესდა.**

ანტიკორუფციული ბიუროს ინსტიტუციური და ფუნქციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის ადვოკატირება

2022 წელს, IDFI ჩართული იყო იმ საპარლამენტო სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში, რომელიც მუშაობდა ანტიკორუფციული რეფორმის საკითხებზე. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში, IDFI-მ წარადგინა მოსაზრებები დამოუკიდებელი ანტიკორუფციული ბიუროს ფორმირების შესახებ. მათ შორის IDFI-ს ადვოკატირების შედეგად პარლამენტმა ბიუროს მიანიჭა სამი მნიშვნელოვანი უფლებამოსილება, თუმცა, 2023 წლის სექტემბრიდან ძალაში შესული საკანონმდებლო ცვლილებები არ ითვალისწინებს ბიუროს საგამოძიებო უფლებამოსილებით აღჭურვის, ოჯახს წევრის ცნების გაფართოებისა და ბიუროს ინსტიტუციური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის შესახებ IDFI-ს საკვანძო რეკომენდაციებს.

ანტიკორუფციული ბიუროს ეფექტიანობის, ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის შემდგომი უზრუნველყოფის საჭიროებაზე ყურადღება გამახვილდა საქართველოს შესახებ ევროკომისიის მიერ მომზადებულ 2023 წლის 8 ნოემბრის ანგარიშში. 2023 წლის 18 დეკემბერს გამოქვეყნდა ვენეციის კომისიის დასკვნა, რომლის თაობაზეც IDFI-მ მოამზადა ანალიზი. ვენეციის კომისიის დასკვნაში საუბარია იმ რეკომენდაციების გათვალისწინების საჭიროებაზე, რომელთა კანონმდებლობაში ასახვასაც IDFI უწევს ადვოკატირებას.



სახელმწიფო უწყებების ხარჯებისა და საქმიანობის მონიტორინგი

საჯარო ფინანსების განკარგვისა და მაღალი თანამდებობის პირების ანგარიშვალდებულების კუთხით ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგის მიზნით, IDFI-მ 2023 წელს მნიშვნელოვანი კვლევები მოამზადა. მრავალწლიანი წარმატებული ადვოკატირების შედეგად, მაღალი თანამდებობის პირების მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციების ღია ფორმატში გამოქვეყნების შემდეგ, IDFI-ს მკვლევრებმა შეაგროვეს და გაანალიზეს ქონებრივი დეკლარაციების პორტალზე ხელმისაწვდომი მონაცემები, რის საფუძველზეც, IDFI-მ გაანალიზა თანამდებობის პირებისა **და** მოსამართლეების **მიერ 2020-2022 წლებში მიღებული საჩუქრები.**

კვლევის მიგნებების მიხედვით, აღმასრულებლის ხელისუფლების 394-მა თანამდებობის პირმა ან მისმა ოჯახის წევრმა მიიღო საჩუქარი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 27.8 მილიონ ლარს. მოსამართლეების შემთხვევაში, 49 მოსამართლემ ან მისმა ოჯახის წევრმა მიიღო საჩუქარი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 5 მილიონ ლარს. მონიტორინგის ფარგლებში **მოსამართლეებისა და მათი ოჯახის წევრების მიერ საჩუქრების სავარაუდოდ კანონის დარღვევით მიღების 7 შემთხვევა გამოვლინდა.** აღმასრულებელი ხელისუფლების შემთხვევაში, თანამდებობის პირების მიერ საჩუქრების სავარაუდოდ კანონის დარღვევით მიღების ათობით საეჭვო შემთხვევა გამოვლინდა. ამის საპასუხოდ, IDFI-მ მიმართა ანტიკორუფციულ ბიუროს, ქონებრივი დეკლარაციების მონიტორინგის ფარგლებში უზრუნველყოს თანამდებობის პირების მიერ საჩუქრის მიღების თითოეული საეჭვო შემთხვევის შესწავლა.

ამასთან ერთად, 2023 წლის დასაწყისში, IDFI-მ 321 მოსამართლის ქონებრივი დეკლარაციების ანალიზის საფუძველზე გამოავლინა **სასამართლო სისტემაში ნეპოტიზმის პოტენციური შემთხვევები.** მონიტორინგმა აჩვენა, რომ საქართველოს მოქმედი მოსამართლეების თითქმის ერთი მესამედის (90) ოჯახის წევრი დასაქმებულია საჯარო სამსახურში.

მონიტორინგის საქმიანობით დაგროვილი გამოცდილებიდან გამომდინარე, IDFI-მ გადაწყვიტა ჩართულიყო ანტიკორუფციული ბიუროს მიერ გამოცხადებული წლის განმავლობაში შესამოწმებელი თანამდებობის პირების შერჩევის დამოუკიდებელი კომისიის სამუშაო პროცესში. ანტიკორუფციული ბიუროს უფროსმა კომისია 2023 წლის 8 დეკემბერს შექმნა, რომლის მუშაობის პროცესში IDFI აქტიურად მონაწილეობდა.

OECD-ის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტიკორუფციული ქსელის (OECD/ACN) მონიტორინგის პროცესში ჩართულობა

IDFI, საკუთარი მოსაზრებების გაზიარებითა და OECD/ACN-ის ონლაინ შეხვედრებში მონაწილეობით, აქტიურად იყო ჩართული OECD/ACN-ის მეხუთე რაუნდის მონიტორინგის კრიტერიუმების შემუშავებაში. IDFI-მ საკუთარი წვლილი შეიტანა OECD/ACN-ის 2023-2026 წლების სტრატეგიის დაგეგმვაში და ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორი, გიორგი კლდიაშვილი მონაწილეობდა OECD-ის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ანტი-კორუფციული ქსელის (OECD/ACN) შეხვედრაში, რომელიც 2023 წლის ოქტომბერში, პარიზში ჩატარდა.

ანტიკორუფციული რეფორმების, განსაკუთრებით კი დამოუკიდებელი სასამართლოსა და პროკურატურის კომპონენტში კრიტიკული შეფასების მიღების გამო, სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობამ მე-5 რაუნდის საპილოტე ანგარიშის საჯაროდ გამოქვეყნებაზე უარი განაცხადა, 2023 წელს კი, 20 წლის მანძილზე პირველად, ქვეყანამ უარი თქვა მონიტორინგის რაუნდში მონაწილეობაზე.

UNCAC-ის ჩრდილოვანი ანგარიში

IDFI მუშაობდა გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის **(UNCAC) კოალიციის ჩრდილოვან ანგარიშზე,** რომელიც შეეხება საქართველოს მიერ გაეროს კორუფციის წინააღმდეგ კონვენციის მეორე (პრევენცია) და მეხუთე (მიტაცებული აქტივების დაბრუნება) თავების შესრულებას. ანგარიშმა აჩვენა, რომ რამდენიმე გამონაკლისის გარდა, საქართველოს ეროვნულ კანონმდებლობაში უმეტესწილად

დანერგილია კორუფციის პრევენციისა და მიტაცებული აქტივების დაბრუნების შესახებ დებულებები, თუმცა ანგარიშში ასევე ხაზგასმულია, რომ **ანტიკორუფციული აქტივობები ბოლო წლებში შენელებულია, ხოლო ზოგიერთ სფეროში საერთოდ არ ხორციელდება.**

სახელმწიფო შესყიდვების ახალი კანონის შესახებ ადვოკატირება

IDFI თვალს ადევნებდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ახალი კანონის მიღების პროცესს. ინსტიტუტმა პარლამენტის მიერ საბოლოოდ მიღებულ კანონზე მიმოხილვა მოამზადა. IDFI-ს შეფასებით, ახალი კანონი მეტწილად პასუხობს ევროკავშირის კანონმდებლობასთან აპროქსიმაციის კუთხით წამოწეულ გამოწვევას, და ცვლილებების დიდი ნაწილი პოზიტიურად შეიძლება შეფასდეს. საგულისხმოა, რომ ახალ კანონში **ინსტიტუტის ოთხამდე რეკომენდაცია აისახა.** მიუხედავად ამისა, დარჩენილია რამდენიმე გარემოება, რომელიც ზღუდავს ახალი კანონის ეფექტიანობას, განსაკუთრებით, **პრობლემად რჩება გამარტივებული შესყიდვების განხორციელებისთვის შესაძლო გამონაკლისების რაოდენობა.**

საქართველოში ბენეფიციარი მესაკუთრეობის გამჭვირვალობის სტანდარტების დამკვიდრების ადვოკატირების გაგრძელება

IDFI-მ შეიმუშავა პოლიტიკის დოკუმენტი **ბენეფიციარი მესაკუთრეების გამჭვირვალობის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ, რომელშიც მიმოხილულია ამ საკითხის შესახებ** თანამედროვე ტენდენციები, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს ბოლო გადაწყვეტილება და მისი შედეგები, ასევე, საქართველოში არსებული ვითარება და საერთაშორისო სტანდარტების დასანერგად გასატარებელი ღონისძიებები. 2023 წლის 28 სექტემბერს გამართულ სამუშაო შეხვედრაზე, სამოქალაქო საზოგადოებისა და რამდენიმე საჯარო დაწესებულების წარმომადგენლებისთვის გაკეთდა ანალიზის მთავარი მიგნებებისა და რეკომენდაციების პრეზენტაცია.

ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ კანონმდებლობის გაუმჯობესების ადვოკატირება

2022 წელს, IDFI მონაწილეობდა იმ საპარლამენტო სამუშაო ჯგუფში, რომელიც შეიქმნა ფულის გათეთრებისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ევროკავშირის პრიორიტეტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესასრულებლად. სამუშაო ჯგუფის საქმიანობის შედეგად შემუშავდა სამოქმედო გეგმა, რითაც გათვალისწინებულ იქნა IDFI-ს ორი რეკომენდაცია.

2023 წელს დამყარდა შემდგომი თანამშრომლობა ევროკავშირის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების წინააღმდეგ ბრძოლის გლობალურ ფონდთან (GF-AML/CFT) და IDFI-მ მონაწილეობა მიიღო რამდენიმე საერთაშორისო ღონისძიებაში, სადაც ორგანიზაციის წარმომადგენლებმა წარადგინეს ინფორმაცია საქართველოში განვითარებული მოვლენების თაობაზე.

კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამა

75-მდე მონაწილემ წარმატებით დაასრულა 2022-2023 წლების კორუფციასთან ბრძოლის სასერტიფიკატო პროგრამა. პროგრამა ოთხ საგანს მოიცავდა: საშემოდგომო სემესტრის დროს „კარგი მმართველობა და კორუფცია“ (უძღვებოდა გიორგი ჩხეიძე, USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის ხელმძღვანელი), „ანტი-კორუფციული პოლიტიკის მართვა საჯარო და კერძო დაწესებულებებში“ (უძღვებოდა თინათინ ხიდაშელი, სამოქალაქო იდეას თავმჯდომარე),

და საგაზაფხულო სემესტრის დროს „კორუფციასთან ბრძოლა - საერთაშორისო აქტორები, და ანტიკორუფციული პლატფორმები (უძღვებოდა ქეთევან ცანავა, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის საჯარო პოლიტიკის დაგეგმვისა და სამთავრობო კოორდინაციის დეპარტამენტის უფროსი), და „პოლიტიკა, ფული და კორუფცია“ (უძღვებოდა ლევან ნატროშვილი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე. კურსდამთავრებულთა დაჯილდოების ცერემონია 2023 წლის 1-ელ დეკემბერს გაიმართა.

გარდა ამისა, 2023-2024 სასწავლო წლის პროგრამის მონაწილეები ღია კონკურსის წესით შეირჩნენ. IDFI-მ 200-მდე განაცხადი მიიღო, საიდანაც შეირჩა 40 მონაწილე საბაკალავრო კურსებზე და 25 მონაწილე სამაგისტრო კურსებზე. შერჩეული მონაწილეები არიან სტუდენტები სხვადასხვა უნივერსიტეტიდან, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების, კერძო და საჯარო სექტორის წარმომადგენლები.

კანონის უზენაესობა და მედიის თავისუფლება

2023 წლის განმავლობაში, IDFI აქტიურად მუშაობდა კანონის უზენაესობის განმტკიცებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის ხელშეწყობის მიზნით. ორგანიზაციის განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართული იყო ევროკომისიის მიერ განსაზღვრული 12 პრიორიტეტისა და შემდგომ 9 ნაბიჯის იმპლემენტაციის მონიტორინგისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების ადვოკატირებისკენ. საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა 3 არსებითი რეკომენდაცია, რომელსაც IDFI უწევდა ადვოკატირებას.

გასულ წელს, ქვეყნისთვის კრიტიკულად მნიშვნელოვან საკითხებზე, ორგანიზაციამ მოამზადა და გამოაქვეყნა არაერთი ანალიტიკური მასალა, მათ შორის, ანალიზები, სტატიები, ბლოგ-პოსტები. ამავდროულად, IDFI-მ გამართა დისკუსიები, ჩაატარა ტრენინგები, მონაწილეობა მიიღო არაერთ სამუშაო შეხვედრაში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, გასცა სამართლებრივი კონსულტაციები და წარმოადგინა ბენეფიციარების ინტერესები ადმინისტრაციულ ორგანოებსა და სასამართლოში.

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, IDFI-მ როგორც ორგანიზაციულად, ისე ჟურნალისტების/მედიის წარმომადგენლების სახელით, მოამზადა და სასამართლოში შეიტანა ათეულობით ადმინისტრაციული საჩივარი და სარჩელი.

წინა წლების მსგავსად, IDFI ჩართული იყო კოალიციურ საქმიანობაში და აქტიურად თანამშრომლობდა კოალიციასთან დამოუკიდებელი და გამჭვირვალე მართლმსაჯულებისთვის, ასევე, მედიის ადვოკატირების კოალიციასთან. 2023 წელს IDFI გახდა საქართველოს ანტი-SLAPP პლატფორმის წევრი.

IDFI იყო ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია, რომელმაც რუსულ კანონთან დაკავშირებით საერთაშორისო პრაქტიკის ვრცელი ანალიზი მოამზადა

IDFI მყისიერად გამოეხმაურა საპარლამენტო უმრავლესობის წევრების მიერ რუსული კანონის მიღების თაობაზე გავრცელებულ განცხადებებს, შეისწავლა საერთაშორისო პრაქტიკა, მოამზადა ვრცელი ანალიზი და გამოავლინა ის რისკები, რომლებიც ამ კანონის მიღებასთან იყო დაკავშირებული. IDFI-ს შეფასებით, რუსული კანონი შეუთავსებელი იყო ევროკავშირის სამართლებრივ სისტემასთან და ღირებულებებთან და მისი მიღება, სხვა რისკებთან ერთად, პირდაპირ საფრთხეს უქმნიდა ევროკავშირის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების შესრულებას.

IDFI-ს მიერ გამოქვეყნებულმა ანალიტიკურმა დოკუმენტმა საზოგადოების დიდი ყურადღება დაიმსახურა და განსაკუთრებული წვლილი შეიტანა რუსული კანონის წინააღმდეგ სამოქალაქო საზოგადოების პოზიციონირებაში.

IDFI-ს მრავალწლიანი ადვოკატირების შედეგად სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებული საკანონმდებლო სტანდარტი დაწესდა

2016 წლიდან, IDFI აქტიურად მუშაობს სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებულ პრობლემებზე და ადვოკატირებას უწევს სათანადო ცვლილებების გატარებას, როგორც საკანონმდებლო, ისე პრაქტიკულ დონეზე. USAID სამართლის უზენაესობის პროგრამის მხარდაჭერით, სასამართლო სისტემის გამჭვირვალობის გაუმჯობესებისთვის IDFI-მ არაერთი აქტივობა დაგეგმა და წარმატებით განახორციელა.

2023 წლის 11 მაისისა და 15 მაისის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის სხდომებზე, საქართველოს პარლამენტმა გაიზიარა ვენეციის კომისიისა და IDFI-ს შენიშვნები და წარმოადგინა სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის სრულიად ახალი მოდელი, რომელიც იმავე წლის 13 ივნისს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო და ცვლილებების ამოქმედების თარიღად 2024 წლის 1 იანვარი განისაზღვრა. საკანონმდებლო ცვლილებებით ნორმატიულ დონეზე არსებითად გაუმჯობესდა ღია სხდომაზე მიღებული სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის საკითხი.

სასამართლო აქტების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით, ორგანიზაციის მიერ წლების განმავლობაში გაწეული ძალისხმევის თაობაზე, 2023 წლის ივლისში, გამოქვეყნდა მიმოხილვა, რომელიც ქრონოლოგიურად აღწერს განვითარებულ მოვლენებსა და IDFI-ს მიერ გადადგმულ ნაბიჯებს. IDFI კვლავ აგრძელებს საკანონმდებლო ჩარჩოს დახვეწისა და პრაქტიკაში ცვლილებების რეალური აღსრულების ადვოკატირებას.

მნიშვნელოვანი აქტივობები ევროკავშირის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტებისა და ნაბიჯების შესრულების ხელშესაწყობად

2023 წლის აპრილში, IDFI-მ გამოაქვეყნა ანალიზი, რომელიც „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის შუალედურ დასკვნას მიმოიხილავს. დოკუმენტის მიზანს, საქართველოში არსებული რეალობის გათვალისწინებით, ვენეციის კომისიის მიერ გაცემული ძირითადი რეკომენდაციების თაობაზე მოსაზრებების წარმოდგენა წარმოადგენდა.

2023 წლის ივნისში, IDFI-მ გამოაქვეყნა ანალიზი, რომელიც „დეოლიგარქიზაციის შესახებ“ კანონის პროექტზე ვენეციის კომისიის შემაჯამებელ დასკვნას შეეხება.

2023 წლის ოქტომბერში, IDFI-მ მოამზადა „საერთო სასამართლოების შესახებ” საქართველოს ორგანულ კანონში შეტანილ და შესატან ცვლილებებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის დასკვნის ანალიზი და მიმოიხილა კომისიის მიერ იდენტიფიცირებული სისტემური გამოწვევები და გაცემული რეკომენდაციები.

2023 წლის დეკემბერში, IDFI-მ მოამზადა ვენეციის კომისიის დასკვნის ანალიზი ანტიკორუფციული ბიუროს

თაობაზე. ანალიტიკური დოკუმენტი მიმოიხილავს კომისიის დასკვნას და აანალიზებს მას საქართველოს ანტიკორუფციული შესაძლებლობების ინსტიტუციური ჩარჩოს გაძლიერებისთვის გატარებული და გასატარებელი ღონისძიებების კონტექსტში.

2023 წლის დეკემბერში, IDFI-მ გამოაქვეყნა ანალიზი, რომელიც ვენეციის კომისიის დასკვნას შეეხება და აფასებს სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის შესახებ კანონმდებლობაში განხორციელებულ ცვლილებებს. დოკუმენტში ასახულია კომისიის შეფასებები სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის გაუქმებისა და ახლად შექმნილი ორი უწყების დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის თვალსაზრისით.

IDFI-მ მონაწილეობა მიიღო არაერთ სამუშაო შეხვედრაში როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

პუბლიკაციები საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების ეფექტიანად რეალიზების ხელშეწყობისათვის

2023 წლის ნოემბერში, IDFI-მ ჩეხეთის რესპუბლიკის ტრანზიციის პროგრამის მიერ მხარდაჭერილი პროექტის ფარგლებში, გამოაქვეყნა სახელმძღვანელო, რომელიც მიმოიხილავს საქართველოს კანონმდებლობაში საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების დაცვის მასშტაბებს, მისი მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლებს და მსჯელობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოყენების სტანდარტზე.

სახელმძღვანელოში მოცემულია პრაქტიკული რჩევები, რომლებიც დაინტერესებულ პირებს მისცემს შესაძლებლობას თავიდან აირიდონ საჯარო დაწესებულებების მხრიდან სამართლებრივი ბერკეტების ბოროტად გამოყენების უარყოფითი ეფექტები და მაქსიმალურად გაზარდონ ინფორმაციის მიღების ალბათობა და, ამავე დროს, შეამცირონ სამართლებრივი რისკები, რომლებიც, შესაძლოა, საჯარო დაწესებულების მიერ გამოყენებულ იქნეს სასამართლო დავის ეტაპზე კანონის მოთხოვნათა გვერდის ასავლელად.

სახელმძღვანელო განკუთვნილია აუდიტორიის ფართო წრისთვის. მის გამოყენებას შეძლებს არამარტო პრაქტიკოსი იურისტი, არამედ, საჯარო ინფორმაციით დაინტერესებული ნებისმიერი პირი.

ამავდროულად, იმავე პროექტის ფარგლებში, მომზადდა და გამოქვეყნდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტებთან დაკავშირებით 3 სამართლებრივი სტატია:

- საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უფლების აღიარება: კონვენციის განვითარების პროცესი და ძირითადი პრეცედენტები;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სტანდარტები საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებით;
- თანამდებობის პირის ქონებრივი დეკლარაციის შემოწმების შედეგების გასაიდუმლოება ეწინააღმდეგება კონსტიტუციის და კონვენციის მოთხოვნებს.

სამართალწარმოება საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად

საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ხარისხის მკვეთრად გაუარესების შემდეგ, IDFI აქტიურად ასაჩივრებს საჯარო დაწესებულებების მიერ ინფორმაციის გაცემაზე მოთხოვნაზე უარსა (მათ შორის ინფორმაციის ნაწილის გაცემაზე უარს) და უპასუხოდ დარჩენილ მოთხოვნებს.

2023 წლის 5 თვეში IDFI-მ სამინისტროებსა და მის დაქვემდებარებულ უწყებებში გაგზავნილ 1,255 საჯარო ინფორმაციის მოთხოვნაზე, პასუხი მიიღო მხოლოდ 94 განცხადებაზე (7%). აღნიშნულის საპასუხოდ 2023 წლის 2 ივნისს, IDFI-მ ერთდროულად გააგზავნა უპრეცედენტო რაოდენობის - 89 ადმინისტრაციული საჩივარი (12 სამინისტრო/სახელმწიფო მინისტრის აპარატი და მათი დაქვემდებარებული 77 უწყება). აღსანიშნავია, რომ აღნიშნულმა უწყებებმა არამცთუ არ გასცეს საჯარო ინფორმაცია, არამედ სრულად უგულებელყვეს IDFI-ს მიერ გაგზავნილი განცხადებები, რაც კანონმდებლობის როგორც მატერიალური ისე ფორმალური მოთხოვნების დარღვევას წარმოადგენს.

IDFI აგრძელებს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ საკითხებზე ჟურნალისტების სამართლებრივ დახმარებას. ჟურნალისტებისა და მედიის წარმომადგენლების საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისთვის, 2023 წელს IDFI-მ 236 საჯარო ინფორმაციის წერილობითი მოთხოვნა მოამზადა, ასევე, 109 ადმინისტრაციული საჩივარი და 11 ადმინისტრაციული სარჩელი. 2023 წლის 17 ნოემბერს IDFI-მ გამართა პროექტის „საჯარო ინფორმაციაზე მედიის ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოში“ გახსნის ღონისძიება, რომელიც საქართველოში ნიდერლანდების საელჩოს MATRA პროგრამის მხარდაჭერით ხორციელდება. პროექტის მიზნებს შორისაა მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკის გაძლიერება და ჟურნალისტებისთვის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა.

აღსანიშნია, რომ IDFI-ს იურიდიული დახმარების შედეგად, შემთხვევათა დაახლოებით 60%-ში ჟურნალისტებმა მოიპოვეს მათთვის მნიშვნელოვანი საჯარო ინფორმაცია. სამართლებრივი დახმარების მეშვეობით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე მომზადდა ფაქტებზე დაფუძნებული არაერთი ჟურნალისტური პროდუქტი.

2023 წელს დაკმაყოფილდა IDFI-ს ათობით ადმინისტრაციული საჩივარი და წარმატებით დასრულდა

არაერთი სასამართლო სამართალწარმოება ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების სხვადასხვა დაწესებულების მიმართ.

ინტენსიური პრაქტიკულ-სიმულაციური სწავლება მედიის წარმომადგენლებისთვის და კონსულტაციები გამომძიებელი ჟურნალისტებისთვის

2023 წლის 7-10 დეკემბრის პერიოდში, საქართველოში ნიდერლანდების საელჩოს MATRA პროგრამის მხარდაჭერით, IDFI-მ ჩაატარა საჯარო ინფორმაციის უფლების პრაქტიკულ-სიმულაციური სწავლება ჟურნალისტებისათვის. ინტენსიური სწავლების მიზანი იყო ჟურნალისტთა საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის უნარების გაუმჯობესება და მათი მედეგობის გაძლიერება საჯარო დაწესებულებების ინფორმაციის მოპოვებაზე დადგენილი ხელოვნური დაბრკოლებების მიმართ.

ამავდროულად, 2023 წლის განმავლობაში სულ მცირე 60 კონსულტაცია გაეწია გამომძიებელ ჟურნალისტებს.

IDFI-ს თითქმის ოთხწლიანი სტრატეგიული სამართალწარმოება წარმატებით დასრულდა

IDFI-ს თითქმის ოთხწლიანი სტრატეგიული სამართალწარმოების შედეგად, დაამკვიდრა სტანდარტი, რომელიც საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით წინ გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს. უზენაესი სასამართლოს 2023 წლის 21 დეკემბრის განჩინებით, კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი - მედიააკადემია საჯარო დაწესებულებად იქნა მიჩნეული და IDFI-ს სასარგებლოდ საჯარო ინფორმაციის გაცემა დაევალა.

უზენაესი სასამართლოს მიერ დამკვიდრებული პრაქტიკა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმ თვალსაზრისით, რომ საჯარო დაწესებულებები თავიანთი უფლებამოსილებების კერძო სამართლის იურიდიულ პირებზე დელეგირების გზით ვერ აირიდებენ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ადგილობრივი მმართველობა

IDFI წინა წლის მსგავსად, 2023 წელსაც აგრძელებდა ადგილობრივ მმართველობასთან დაკავშირებული აქტივობების მასშტაბის გაზრდას და ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგს. ორგანიზაციამ მოამზადა მუნიციპალიტეტების ეროვნული შეფასება და რეიტინგი, რომელსაც პარტნიორებთან ერთად ყოველ ორ წელიწადში ერთხელ 2017 წლიდან ახორციელებს.

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი (LSG INDEX) 2023

IDFI-მ, პარტნიორ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან ერთად, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და დანიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით, ერთიანი მეთოდოლოგიით, 64 მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება შეაფასა და 2023 წლის რეიტინგი - ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი - შეადგინა. 2023 წლის შედეგების პრეზენტაცია 2023 წლის 21 ნოემბერს ჰიბრიდულ ფორმატში ჩატარებული ღონისძიების დროს მოხდა, რომლის ფარგლებშიც სხვადასხვა სექტორის წარმომადგენლებს ჰქონდათ მონაწილეობისა და კითხვების დასმის შესაძლებლობა.

ღონისძიებას ესწრებოდნენ ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების, ასევე, სამოქალაქო საზოგადოების და დონორი ორგანიზაციების წარმომადგენლები. მონაწილეებს მისასალმებელი სიტყვებით მიმართეს **დაგლას უებმა,** გაეროს განვითარების პროგრამის მუდმივი წარმომადგენლის მოვალეობის შემსრულებელმა საქართველოში, **ანდერს ტრელბორგმა,** დანიის საელჩოს საქართველოში მისიის ხელმძღვანელის მოადგილემ, **მზია გიორგობიანმა,** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ.

2023 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველოს **მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების საშუალო შედეგი შეფასების 100%-იან სკალაზე 33%-ია.** მერიების საშუალო შედეგია - 31%, ხოლო საკრებულოების 35%. **ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის წინა, 2021 წლის შედეგი (28%) 2023 წელს მცირედით, 5%-ით გაუმჯობესდა.**

2023 წლის შეფასების მიხედვით, საუკეთესო შედეგის მქონე მუნიციპალიტეტად ქალაქ ფოთის მუნი-

ციპალიტეტი დასახელდა. 100%-იან შეფასების სკალაზე მას 75%-იანი შედეგი აქვს. ქალაქ ფოთის შემდეგ საუკეთესო შედეგები აქვთ ამბროლაურის (66%), ლაგოდეხის (63%), მესტიის (56%) და ონის (55%) მუნიციპალიტეტებს.

რაც შეეხება რეიტინგის ყველაზე დაბალი მაჩვენებლების მქონე მუნიციპალიტეტებს, მათ შორის არიან ასპინძის (6%), თიანეთის (9%), ადიგენის (12%), კასპის (13%) და ყაზბეგის (15%) მუნიციპალიტეტები.

მთავარი მიგნებების წარდგენასთან ერთად, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლების, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე მომუშავე ორგანიზაციებისა და ექსპერტების ჩართულობით გაიმართა პანელური დისკუსია, სადაც განხილულ იქნა ადგილობრივ დონეზე გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების სტანდარტების დანერგვის კუთხით არსებული მიღწევები, გამოწვევები და საჭიროებები.

ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე მომზადებული ანალიტიკური ნაშრომები

პუბლიკაცია „ისევ თვითმმართველობის შესახებ“

დეცენტრალიზაციის რეფორმის შესახებ მტკიცებულებებზე დაფუძნებული დისკუსიების გასაძლიერებლად, IDFI-მ გამოაქვეყნა ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი წამყვანი ექსპერტის, დავით ლოსაბერიძის მიერ მომზადებული ანალიზი მიმდინარე რეფორმებთან და საჭირო ინტერვენციებთან დაკავშირებით. **მან მიმოიხილა დეცენტრალიზაციის რეფორმის ძირითადი კომპონენტები და ამ მხრივ საქართველოში არსებული გამოწვევები და საჭიროებები.** ანალიზი მოიცავს რეფორმის შემდეგ კომპო-ნენტებს: ა) ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა; ბ) უფლებამოსილებები

და კომპეტენციები; გ) თვითმმართველობის სტრუქტურა; დ) ეკონომიკური საფუძვლები; ე) თვითმმართველობის საქმიანობის ზედამხედ-ველობა. ანალიზი გვთავაზობს გადაწყვეტილების მიმღები პირებისთვის და დეცენტრალიზაციის რეფორმაში ჩართული სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის მნიშვნელოვან რეკომენდაციებს, რომელთა გათვალისწინება სასარგებლო იქნება რეფორმების განხორციელების პროცესში.

მუნიციპალიტეტების საკრებულოს წევრების მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის მიმოხილვა

IDFI-მ გაანალიზა, **რამდენად ეფექტურად ახორციელებენ მუნიციპალიტეტის საკრებु-ლოს წევრები საზედამხედველო საქმიანობას.** 51 მუნიციპალიტეტიდან მიღებული მონაცემების მიხედვით, მომზადდა ყოვლისმომცველი ანა-ლიზი, რომელიც ამ საკითხზე პირველი კვლევა გახლდათ და შეაფასა, რამდენად სათანადოდ ხდება ამ კუთხით შესაბამისი კანონმდებლობის აღსრულება საკრებულოს წევრების მიერ. კვლე-ვამ გამოავლინა საკრებულოს წევრების მიერ სხდომის გაცდენის 4,140 შემთხვევა, საიდანაც 65%-ის მიზეზი (საპატიო/არასაპატიო) უცნობია.

ანალიზმა აჩვენა, რომ საკრებულოს წევრთა მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშების ფორმა არაერთგვაროვანია და ძირითადად მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ამასთან, შინაარსობრივ ნაწილში იკვეთება კანონშემოქმედებით და საზედამხედველო ფუნქციათა შესრულების შესახებ მოსახლეობათა ინფორმირების ნაკლებობაც. დეპუტატები თავიანთ ანგარიშებში არ საუბრობენ იმ განხორციელებული პროექტებისა თუ პროგრამების შესახებ, რომელიც დადებითად აისახა მოსახლეობის ცხოვრების ხარისხზე. ანგარიშები უმეტესწილად არ მოიცავს სტატისტიკურ მაჩვენებლებს, რაც საკრებუ-ლოს წევრების ეფექტიან მუშაობას ეჭვქვეშ აყენებს, ან მიუთითებს იმაზე, რომ დეპუტატები სათანადოდ ვერ ახდენენ გაწეული სამუშაოს დემონსტრირებას.

მუნიციპალიტეტების თანამდებობის პირების მიერ მიღებული საჩუქრები

IDFI-მ კომპლექსურად შეისწავლა 2021-2023 წლებში მუნიციპალიტეტების **თანამდე-ბობის პირთა ასობით დეკლარაცია,** სადაც წარმოდგენილი იყო **მათი და მათი ოჯახის წევრების მიერ 2020-2022 წლებში მიღე-ბული საჩუქრები.** კვლევამ აჩვენა, რომ

224-მა თანამდებობის პირმა ან მისმა ოჯახის წევრმა მიიღო საჩუქარი, რომლის ჯამური ღირებულება შეადგენდა 9.8 მილიონ ლარს. მონიტორინგის ფარგლებში თანამდებობის პირების მიერ **საჩუქრების სავარაუდოდ კანონის დარღვევით მიღების 53 საეჭვო შემთხვევა გამოვლინდა.** ცალკეული თანამდებობის პირების დეკლარაციები, საჩუქრის კანონის დარღვევით მიღებასთან ერთად, სავარაუდო კორუფციული დანაშაულის ნიშნებსაც შეიცავდა.

შედეგების საფუძველზე, IDFI-მ ანტიკორუფციულ ბიუროს და შესაბამის საგამოძიებო ორგანოებს მიმართა, შეისწავლონ მონიტორინგის ფარგლებში გამოვლენილი საეჭვო შემთხვევები და გაატარონ კანონით გათვალისწინებული ღონისძიებები.

მუნიციპალიტეტების დანახარჯები და იურიდიული პირების დაფინანსება



IDFI-მ მოამზადა **მუნიციპალიტეტების მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების დაფინანსებისა და ბიუროკრატიის შესახებ** ყოვლისმომცველი ანალიზი**.** ანალიზმა საინტერესო მიგნებები გამოავლინა მუნიციპალიტეტების ბიუჯეტებიდან სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯების შესახებ. მაგალითად, კვლევამ აჩვენა, რომ სუბსიდიის მუხლით გაწეული ხარჯები ყოველწლიურად, საშუალოდ 26%-ით იზრდება. თბილისის ა(ა)იპ-ებში სახელფასო სისტემა არაერთგვაროვანია. ბოლო ხუთ წელში, ბათუმის ა(ა)იპ-ების რაოდენობა 16-დან 13-მდე შემცირდა, თუმცა მათი დაფინანსება დაახლოებით 6-ჯერ, დასაქმებულ თანამშრომელთა რაოდენობა 9%-ით, ხოლო მათი შრომის ანაზღაურების ხარჯები 89%-ით გაიზარდა. 2019 წლიდან 2022 წლამდე რუსთავის ა(ა)იპ-ების დაფინანსება ბიუჯეტიდან დაახლოებით ორჯერ, ხოლო შპს-ების დაფინანსება დაახლოებით სამჯერ გაიზარდა.

მუნიციპალიტეტების მიერ 2022 წელს გაწეული სარეკლამო ხარჯების ანალიზი

IDFI-მ მუნიციპალიტეტების მიერ განხორციელებული გამარტივებული შესყიდვების მონიტორინგის გზით, გაანალიზა **სარეკლამო მომსახურების შესყიდვის პრაქტიკა** და, ყველაზე თვალსაჩინო შემთხვევებზე დაყრდნობით, მოამზადა ანალიტიკური ნაშრომი. ანალიზმა აჩვენა, რომ 2022 წელს, 18-მა მერიამ 2022 წელს ჯამურად 503,140 ლარის ღირებულების სარეკლამო მომსახურების ხელშეკრულება გააფორმა. გარდა ამისა, დაფიქსირდა შემთხვევები, როდესაც მერიებმა სარეკლამო ხარჯებთან დაკავშირებით არასწორი მონაცემები მოგვაწოდეს.

ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისთვის შესაძლებლობების გაძლიერების ტრენინგები

2023 წლის 20-21 აპრილს, IDFI-მ, ორ პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად, ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის შეფასების შესახებ შვიდი ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის 19 წარმომადგენლისთვის ტრენინგი ჩაატარა. ტრენინგის მონაწილეებმა მიიღეს **მუნიციპალიტეტების ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის შეფასების როგორც თეორიული ცოდნა, ისე პრაქტიკული გამოცდილება.**

ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსის მეთოდოლოგიისა და კარგი პრაქტიკების გათვალისწინებით, IDFI-მ, პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად, **განაახლა** ადგილობრივი დაინტერესებული მხარეებისთვის განკუთვნილი **მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების შესახებ ონლაინ კურსი.** კურსის განახლებისას გათვალისწინებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსში დამატებული ახალი ინდიკატორები, რისი მიზანიც დეცენტრალიზაციის რეფორმასთან დაკავშირებული მიმდინარე მოვლენების გათვალისწინება იყო. განახლების შემდეგ კურსის გავრცელდა ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებს შორის.

IDFI-მ წარმატებით გააფართოვა **საჯარო ინფორმაციის გამოყენებით ხელისუფლების საქმიანობის მონიტორინგის შესახებ ცნობიერების ამაღლების აქტივობები** საქართველოს რეგიონებში. ამ მიზნით, 2023 წლის 21-დან 23 ივნისის ჩათვლით აქტივისტების, ჟურნალისტებისა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისთვის 3 ტრენინგი ჩატარდა ქუთაისში, ოზურგეთსა და ზუგდიდში, რომლის დროსაც ტრენერებმა მათ გაუზიარეს გამოცდილება და ცოდნა, თუ რა მეთოდები და გზები უნდა გამოიყენონ ხელისუფლების ზედამხედველობის მიზნით მონაცემების შესაგროვებლად და მოსაპოვებლად.

ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა

2019 წლიდან მოყოლებული ეკონომიკური და სოციალური მიმართულების მნიშვნელოვანი გაფართოებით IDFI-მ თავი დაიმკვიდრა როგორც სანდო ანალიზის და შეფასებების მიმწოდებელმა კვლევითმა ორგანიზაციამ.

2023 წელს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური გამოწვევების ანალიზით მოვიცავით საპენსიო რეფორმა, განათლება, ჯანდაცვა, რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე, საბიუჯეტო ხარჯვის ოპტიმიზება, კერძო სექტორსა და მთავრობას შორის დიალოგის მასშტაბი და ხარისხის ზრდა. ასევე, სახელმწიფო უწყებების, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, მრგვალი მაგიდის ფორმატში განვიხილეთ ქვეყნის ეკონომიკური დღის წესრიგის ყველაზე საჭირბოროტო საკითხები.

IDFI-ს მიერ გაწეული რეკომენდაციების ადვოკატირებამ, რომელიც ეფუძნებოდა სოციალურ-ეკონომიკური პოლიტიკის სიღრმისეულ ანალიზს, ცალკეული მიმართულებით 2023 წელს მნიშვნელოვანი შედეგი გამოიღო. მაგალითად:

- IDFI-ს რეკომენდაციების აქტიურმა ადვოკატირებამ ხელი შეუწყო სოციალურად მოწყვლადი სხვადასხვა ჯგუფის დახმარებების ზრდას. მაგალითად, გაიზარდა ონკოპაციენტების მკურნალობის დაფინანსება, გააქტიურდა დევნილი მოსახლეობის საცხოვრებლით უზრუნველყოფის პროგრამა, გაიზარდა რეპრესირებული პირების საყოფაცხოვრებო სუბსიდია და სხვა;

- IDFI აქტიურად უჭერდა მხარს საპენსიო სააგენტოს საინვესტიციო მანდატის და საპენსიო დანაზოგების რისკიანობის გონივრულ ზრდას, რაც უზრუნველყოფდა ინფლაციის ტემპის დაზღვევას. 2023 წელს კანონმდებლობაში შესული ცვლილებებით, მოქალაქეებს საშუალება მიეცათ თავად აირჩიონ საინვესტიციო პორტფელი მისი რისკიანობის მიხედვით;

- IDFI-მ აქტიურად განაგრძო რუსეთ უკრაინის ომის საქართველოზე სოციალურ-ეკონომიკური გავლენის შეფასება და დაეხმარა ამ კუთხით მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ზრდას;

- 2023 წელს გაუმჯობესდა ადგილობრივ დონეზე საჯარო-კერძო დიალოგი ეკონომიკური რეგულაციების შემუშავების პროცესში;

IDFI-ს ეკონომიკური და სოციალური პოლიტიკის გუნდის ეკონომიკური პოლიტიკის კვლევები და ადვოკატირება წლის მანძილზე მედიის აქტიური ყურადღების ცენტრში იყო. 2023 წელს კვლევების და ადვოკატირების ოთხი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულება იყო:

1. საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის ხელშეწყობა საქართველოში მონიტორინგისა და ცნობიერების ამაღლების გზით

IDFI-მ განაგრძო საჯარო და კერძო სექტორებს შორის დიალოგის (PPD) ხარისხის შეფასება ნორმატიული აქტების შემუშავების პროცესში, მონაწილეობით საწყისებზე დაფუძნებული პოლიტიკის შემუშავების ხელშესაწყობად. 2023 წლის აგვისტოში გამოქვეყნდა, 2022 წელს შერჩეული 20 ნორმატიული აქტის, მათ შორის მუნიციპალიტეტების აქტების, შეფასების ანგარიში. შეფასების შედეგების შესახებ საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით მომზადდა საინფორმაციო ბანერები და ვიდეო, რომლებიც გავრცელდა ვებგვერდისა და სოციალური მედიის საშუალებით.

2023 წლის მეორე ნახევარში, შესაფასებლად შეირჩა 21 ნორმატიული აქტი - 7 კანონპროექტი, 8

კანონქვემდებარე აქტი და 6 მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი. შეფასების მიზნით IDFI-ს გუნდმა, 100-ზე მეტი ინტერვიუ ჩაატარა საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებთან, რომლის შედეგები 2024 წელს გამოქვეყნდება.

2023 წელს, IDFI-მ ჩაატარა საინფორმაციო კამპანია 6 სამიზნე მუნიციპალიტეტის (ბათუმი, ზუგდიდი, ოზურგეთი, გორი, რუსთავი, ქუთაისი) მუნიციპალური ორგანოების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან. კამპანიის მიზანი იყო მუნიციპალური ბიუჯეტირების პროცესის, ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ფორმების და ადგილობრივი თვითმმართველი ორგანოების როლის განხილვა. ასევე, დიალოგის არსებულ პრაქტიკაზე მსჯელობა და ადგილობრივი გამოცდილების გაზიარება.

2. განათლება

2023 წლის დეკემბერში, IDFI-მ გამოაქვეყნა PISA-ს 2022 წლის შედეგების ანალიზი. შეფასებაში 81 ქვეყანა მონაწილეობდა, რომელთა შორის საქართველომ 65-ე ადგილი დაიკავა, რაც გაუმჯობესებაა 2018 წლის შედეგთან შედარებით (70-ე ადგილი), თუმცა, რეიტინგში დაწინაურების მიზეზი არა გაუმჯობესებული შედეგები, არამედ სხვა ქვეყნების დაბალი შედეგები იყო. ასევე, ანალიზში მიმოხილულია 10 მიზეზი, რასაც შესაძლებელია, უარყოფითი გავლენა ჰქონდეს ქვეყანაში განათლების სისტემის განვითარებაზე, ესენია:

- სიღარიბე
- სასკოლო ინფრასტრუქტურა
- მასწავლებლის კვალიფიკაცია
- სკოლის პოლიტიზება/დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი
- სკოლების დაფინანსება
- სასკოლო პროგრამა და მოსწავლეთა შეფასების სისტემა
- COVID-19 პანდემია
- მოსწავლეთა დაბალი მოსწრება
- დაბალი ინკლუზიურობა
- მშობლების ჩართულობა

3. საპენსიო რეფორმა

2023 წლის 31 მარტს IDFI-მ გამოაქვეყნა 2018 წელს დაწყებული საპენსიო რეფორმის შესაფასებელი ანგარიში. კვლევის ფარგლებში გაანალიზდა საპენსიო აქტივების მართვის და მთლიანად რეფორმის მთავარი გამოწვევები, მათ შორის ინვესტირების რისკიანობა და აქტივების მართვის დამოუკიდებლობა. ქართული და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით მომზადდა რეკომენდაციები.

დაინტერესებული მხარეებისთვის შეფასების შედეგების და მიგნებების წარდგენის მიზნით, 31 მარტს ჩატარდა ანგარიშის პრეზენტაცია. ნაშრომი ფართო საზოგადოების ინფორმირებულობის მიზნით გამოქვეყნდა სოციალურ ქსელში და ორგანიზაციის ვებგვერდზე.

ასევე, რეფორმის მიმდინარეობაზე, საზოგადოების ცნობიერების დონის ასამაღლებლად, 2023 წლის 25 აგვისტოს გამოქვეყნდა სტატია, საპენსიო დანაზოგების რისკიანობის შესახებ. სტატია აანალიზებდა სხვადასხვა ტიპის რისკიან პორტფელებს შორის განსხვავებებს.

4. რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

2023 წლის 30 მაისს, გამოქვეყნდა ბლოგპოსტი - დაინგრევა თუ არა საქართველოს ეკონომიკა თუ რუსეთს ორმხრივ ეკონომიკურ სანქციებს დავუწესებთ? მიმოხილვაში აღნიშნულია, რომ 2006 წელს დაწყებული რუსული ემბარგოს, ხოლო შემდეგ ომის შედეგად რუსეთთან ვაჭრობის მკვეთრმა შემცირებამ, საქართველოს ეკონომიკა არათუ ჩამოანგრია, არამედ როგორც ექსპორტის, ისე იმპორტის დივერსიფიცირებას ბიძგი მისცა. ქვეყანამ ახალი სავაჭრო პარტნიორები შეიძინა, ხოლო ძველ სავაჭრო პარტნიორებთან ვაჭრობა გაზარდა. სტატიაში აღნიშნულია, რომ ორმხრივი ეკონომიკური სანქციების დაწესება ქვეყნისთვის, მოკლევადიანი შოკი იქნება, თუმცა, საშუალოვადიან პერსპექტივაში გამოიწვევს გაცილებით უფრო პროგნოზირებადი და მომგებიანი ბაზრების ათვისებას და ხელშესახებ ეკონომიკურ ზრდას.

ამავე წლის 13 ივნისს, გამოქვეყნდა დასავლეთისგან დისტანცირების ეკონომიკური რისკები, სადაც მიმოხილულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოყოფილი გრანტებისა და კრედიტების მოცულობა, დასავლური ინვესტიციის წილი საინვესტიციო პროექტებში.

ორივე მიმოხილვა ხაზს უსვამს რუსეთთან ეკონომიკური საქმიანობის დისტანცირების და დასავლეთთან ეკონომიკური კავშირების გაღრმავების საჭიროებას.

კვლევითი ანგარიშები და ბიუჯეტის გენდერის ინდექსის საპილოტე შეფასება

2023 წელს, IDFI-ს ეკონომიკურმა გუნდმა გამოაქვეყნა **7** კვლევითი ანგარიში:

- საპენსიო რეფორმის მომავალი
- საპენსიო დანაზოგების რისკიანობის ასარჩევად 12 დღე რჩება (განსხვავებები მაღალრისკიან და დაბალრისკიან პორტფელებს შორის)
- 30 კითხვა მთავრობის ეკონომიკურ გუნდს - IDFI-მ ეროვნულ ბანკთან, მსოფლიო ბანკთან, სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ექსპერტებთან ერთად განიხილა ქვეყნის ეკონომიკური დღის წესრიგის ყველაზე საჭირბოროტო კითხვები. კითხვები ეხება ეკონომიკურ ზრდას, მათ შორის ქვეყნის ეკონომიკურ მიმზიდველობას, ინვესტიციებს, პროდუქტიულობას, ექსპორტის წახალისებას, დასაქმებას, განათლებას და საზოგადოდ ადამიანური კაპიტალის განვითარებას.
- დასავლეთისგან დისტანცირების ეკონომიკური რისკები
- დაინგრევა თუ არა საქართველოს ეკონომიკა თუ რუსეთს ორმხრივ ეკონომიკურ სანქციებს დავუწესებთ?
- სამედიცინო დაწესებულებების სახელმწიფო დაფინანსება - კვლევა ასახავს სამედიცინო დაწესებულებების დაფინანსებას რეგიონების მიხედვით და აანალიზებს სამედიცინო მომსახურების მიმღები პირების და შემთხვევების რაოდენობები. ანალიზის შედეგად გაკეთებულია მიგნებები ჯანდაცვის სისტე- მის დაფინანსების DRG მოდელზე გადასვლის შემდგომ.
- რას გვასწავლის PISA-ს 2022 წლის შედეგები?

2023 წელს IDFI-მ ასევე, განახორციელა ბიუჯეტის გენდერის ინდექსის საპილოტე შეფასება სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლობის ჩართულობით.

სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ინდექსის მიზანია, გამოავლინოს გენდერულ თანასწორობაზე ყველაზე მაღალი პოტენციური გავლენის მქონე პროგრამები და ქვეპროგრამები. შემდეგ კი უწყებათშორის სამუშაო ჯგუფი აღნიშნულ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში იმ ცვლილებების შეტანას გაუწევს რეკომენდაციას, რაც მათ გავლენას გაზრდის.

ინდექსის შესამუშავებლად, მკვლევართა გუნდმა, ჯანდაცვის და ფინანსთა სამინისტროებთან, გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოსთან, სახალხო დამცველის აპარატთან და პარლამენტის საბიუჯეტო ოფისთან ერთად ჩაატარა სამუშაო შეხვედრები.

ამავე პერიოდში, IDFI-ს გუნდმა დაიწყო სახელმწიფო საწარმოების რეფორმის ანალიზი. ასევე, IDFI-მ დაიწყო სოციალური პროგრამების მონიტორინგი და გეგმავს, რომ 2024 წელს მონიტორინგმა მოიცვას ამ პროგრამებზე წინასაარჩევნო პერიოდის გავლენის შეფასება.



ინტერნეტი
და ინოვაციები

2023 წელს IDFI-მ გააგრძელა კვლევის, ადვოკატირებისა და შესაძლებლობების განვითარებისკენ მიმართული აქტივობები ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ციფრული უფლებები, კიბერ უსაფრთხოება, ხელოვნური ინტელექტი და ღია მონაცემები. ინსტიტუტის ერთ-ერთი მიღწევა გახლდათ AI-ის საკითხზე გლობალურ ინიციატივაში ჩართვა და რეგიონული ჰაბის როლის შეთავსება.

ინოვაციები და ხელოვნური ინტელექტი (AI)

IDFI - პასუხისმგებლიანი ხელოვნური ინტელექტის გლობალური ინდექსის **(GIRAI)** რეგიონული ჰაბი

AI-ზე IDFI-ის საქმიანობის საერთაშორისო აღიარების შედეგად, ინსტიტუტი **პასუხისმგებლიანი ხელოვ-ნური ინტელექტის გლობალური ინდექსის (GIRAI)** პროექტის აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის **რეგიონული ჰაბი** გახდა. GIRAI წარმოადგენს ინიციატივას, რომელმაც შექმნა ინკლუზიური და გაზომვადი ინდიკატორები, რათა თვალი ვადევნოთ მთავრობებისა და დაინტერესებული მხარეების მიერ პასუხისმგებლიანი AI პრინციპების განხორციელებას. 2023 წლის მარტიდან, IDFI ჩართული იყო კვლევის მეთოდოლოგიის გადახედვაში, რის შემდეგაც საპილოტე ფაზის დროს, შეაგროვა პირველადი მონაცემები საქართველოში AI კანონმდებლობის, სამთავრობო და არასამთავრობო ინიციატივების შესახებ.

ამავდროულად, 11 ეროვნული მკვლევრის შერჩევის შემდეგ, 2023 წლის 23-26 ოქტომბერს ყველა ეროვნული მკვლევარი დატრენინგდა პასუხისმგებლიან AI-ისა და კვლევის მეთოდოლოგიის საკითხებზე. ტრენინგის შემდეგ, ეროვნულმა მკვლევრებმა, IDFI-ს მჭიდრო ზედამხედველობის ქვეშ, დაიწყეს მათ-თვის განკუთვნილი ქვეყნის შეფასება. კვლევის დასრულების შემდეგ, 2024 წლის მეორე ნახევარში, გამოქვეყნდება ყოვლისმომცველი გლობალური ანგარიში პასუხისმგებლიანი AI-ის შესახებ მთელ მსოფლიოში.

ხელოვნური ინტელექტის შესახებ გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების რეგულაციების შესახებ საერთაშორისო დისკუსიაში მონაწილეობა

National Endowment for Democracy (NED)-ის დემოკრატიული კვლევების საერთაშორისო ფორუმის მოწვევით, რომ მოემზადებინა ესსე გამოცემისთვის - თანამედროვე ტექნოლოგიები & დემოკრატია, IDFI-ს წარმომადგენელმა მოამზადა ანალიზი **საქართველოს საჯარო სექტორში ხელოვნური ინტელექტის**

სისტემების გამოყენების, ასევე, ამ კუთხით კანონმდებლობასა და პრაქტიკაში არსებული ნაკლოვანებების შესახებ. ანალიზი დაფუძნებული იყო ამავე საკითხზე IDFI-ს მიერ მანამდე მომზადებული კვლევის მიგნებებზე. მოგვიანებით, IDFI-ს წარმომადგენელი მონაწილეობდა 2023 წლის 29 მარტს გამართულ NED-ის ონლაინ ვებინარში, სახელწოდებით - The Digitalization of Democracy: How Technology is Changing Government Accountability, სადაც ინსტიტუტის წარმომადგენელმა ისაუბრა ანალიზის მთავარ მიგნებებზე და დარგის წამყვან ექსპერტებთან ერთად მონაწილეობა მიიღო დისკუსიაში.

ევროკავშირის AI აქტის მიმოხილვა და საგულისხმო გარემოებები საქართველოსთვის



ხელოვნური ინტელექტის საკითხებზე მიმდინარე მოვლენებისა და ძირითადი ტენდენციების ქართულ დაინტერესებულ მხარეებთან გასაზიარებლად, IDFI ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტის მიღებას, რომელიც არის მსოფლიოში პირველი ყოვლისმომცველი რეგულაცია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესახებ. IDFI-მ მოამზადა **ანალიზი სახელწოდებით -** ევროკავშირის ხელოვნური ინტელექტის აქტი (EU AI Act) - რა უნდა იცოდეთ მსოფლიოში AI-ის გამოყენების პირველ რეგულაციაზე, რომელიც მიმოიხილავს აქტით შემოღებულ ძირითად რეგულაციებს და მოთხოვნებს, ასევე, აჩვენებს ევროკავშირის წევრ ქვეყნებში რეგულაციის ცალკეულ ნაწილებთან დაკავშირებით მიმდინარე დისკუსიებს. რაც მთავარია, ანალიზში მოცემულია ახალი აქტით შემოთავაზებული ხელოვნური ინტელექტის განმარტება და რისკების მიხედვით, ხელოვნური ინტელექტის სისტემების კლასიფიკაცია.

ღია მონაცემები

IDFI-ს DataLab.Ge ევროკავშირის ღია მონაცემების პორტალმა საინტერესო მაგალითებს შორის შეიყვანა.

ევროკავშირის ყველაზე მასშტაბურმა ღია მონაცემების პორტალმა IDFI-ს ღია მონაცემების სამოქალაქო პორტალი დაასახელა როგორც ერთ-ერთი ინსპირაციული პორტალი, რომელიც ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისა და დემოკრატიული განვითარებისთვის ხელს უწყობს საჯარო მონაცემებზე წვდომას.

გარდა ამისა, IDFI-ს წარმომადგენელი მიწვეული იყო 2023 წლის 26 მარტს გამართულ ონლაინ ვებინარზე DataLab-ის პორტალისა და ღია მონაცემების კუთხით IDFI-ს საქმიანობის წარსადგენად. ვებინარში მონაწილეობდნენ სამოქალაქო საზოგადოების, საჯარო სექტორსა და აკადემიის წარმომადგენლები ევროპის სხვადასხვა ქვეყნიდან.

საქართველოში ღია მონაცემების ეკონომიკური პოტენციალის კვლევა

საჯარო მონაცემების ღია ფორმატში ხელმისაწვდომობის ადვოკატირებისთვის, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის მხარდაჭერით, 2023 წლის ივლისიდან IDFI სწავლობდა **ღია მონაცემთა ეკონომიკურ პოტენციალს.** კონკრეტულად, IDFI-მ საქართველოს ღია მონაცემების ეკონომიკური სარგებლის გამოსათვლელად, ადაპტირება გაუკეთა ევროკომისიის ყოვლისმომცველ მეთოდოლოგიას. კვლევის მოსამზადებლად შემუშავდა მეთოდოლოგია, კვლევის მეთოდები, ფორმულები და კითხვარი.

შემუშავებული მეთოდებისა და ინსტრუმენტების გამოყენებით, IDFI-მ გამოითვალა ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის ეკონომიკური სარგებელი. გარდა ამისა, IDFI-მ გააანალიზა არსებული მონაცემთა ბაზები, რომლებიც ხელმისაწვდომია სხვადასხვა საჯარო დაწესებულებაში და გამოავლინა კერძო სექტორის ძირითადი საჭიროებები და ნაკლოვანებები ღია მონაცემების გამოყენებით, ახალი სერვისების გაუმჯობესებისა და განვითარების კუთხით. ამისთვის ჩატარდა ფოკუს ჯგუფის შეხვედრები და ონლაინ ინტერვიუები კერძო სექტორის ათეულობით წარმომადგენელთან.

DATALAB.GE-ზე საჯარო პოლიტიკის საკითხებზე მონაცემთა ბაზის გამოქვეყნება

საქართველოში ღია მონაცემების ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, IDFI **რეგულარულად აახლებდა ღია მონაცემთა პლატფორმას** www.datalab.ge და აქვეყნებდა გასუფთავებულ და დახარისხებულ მონაცემთა ბაზებს - გამოქვეყნდა 75-მდე ახალი და განახლდა 60 არსებული მონაცემთა ბაზა.

კონკურსი – მონაცემები ცვლილებებისთვის (#DATA4CHANGE) და გამარჯვებულთა დაჯილდოება

ხელისუფლების საქმიანობაზე ზედამხედველობისა და საჯარო მონაცემების გამოყენების წახალისების მიზნით, IDFI-მ **ანალიტიკური სტატიების რიგით მეხუთე ყოველწლიური კონკურსი -** „მონაცემები ცვლილებებისთვის“ - გამართა. ორგანიზაციამ 28 საკონკურსო ნაშრომი მიიღო. ანალიტიკური სტატიების უმეტესობა ეხებოდა მცირეწლოვანთა გამოწვევებს და განათლების ხარისხს; საჯარო ფინანსების განკარგვასა და მართვას; სოციალურ და ეკონომიკურ პრობლემებს; ეკოლოგიურ პრობლემებს და ევროინტეგრაციას. საბოლოოდ, შეირჩა სამი გამარჯვებული,

რომლებიც დაჯილდოვდნენ 2023 წლის 28 სექტემბერს, საჯარო ინფორმაციის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად გამართულ სამუშაო შეხვედრაზე.

ციფრული უფლებები

ციფრული უფლებების მდგომარეობა საქართველოში



მე-10 წელია IDFI-ს ინტერნეტისა და ინოვაციების მიმართულების ხელმძღვანელი Freedom House-ის დამხმარე ავტორია და **მონაწილეობს საქართველოზე ინტერნეტის თავისუფლების ყოველწლიური ანგარიშის მომზადებაში.** 2023 წლის ანგარიშის მიხედვით, საქართველომ 100-დან 76 ქულა აიღო და შეფასდა, როგორც „თავისუფალი" ქვეყანა. ქვეყნის საერთო ქულა, 2022 წელთან შედარებით, ორით შემცირდა. ქულის ცვლილების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ ის გარემოება, რომ ბოლო ხუთი წლის მანძილზე ქვეყნის სატელეკომუნიკაციო სექტორის მარეგულირებელმა ორგანომ ინტერნეტ სერვის პროვაიდერებს 480-მდე ვებგვერდის დაბლოკვა მოსთხოვა, ძირითადად, საავტორო უფლებების დარღვევის გამო. ეს ხდებოდა იმ პირობებში, როდესაც არ არსებობს ვებგვერდების დაბლოკვის მკაფიო პროცედურები. გარდა ამისა, ვებგვერდების დაბლოკვის სტატისტიკას პრაქტიკულად არ აქვეყნებს არც კომუნიკაციების კომისია, არც ინტერნეტ სერვის პროვაიდერები და არც სხვა სახელმწიფო ორგანოები.

გარდა ამისა, IDFI-ს წარმომადგენელი მონაწილეობდა არაკომერციული სამართლის ევროპული ცენტრის (ECNL) რეგიონულ ინიციატივაში - *სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საარსებო გარემოს შეფასება (CSO Meter).* IDFI ჩართული იყო **ციფრული უფლებების კუთხით საქართველოს შესახებ** თავის მომზადებაში, რის ფარგლებშიც გამოიკვეთა ქვეყნის მთავარი მიღწევები, გამოწვევები და შემუშავდა ცალკეული რეკომენდაციები.

ციფრული წიგნიერების შესახებ ცნობიერების ამაღლება

2023 წლის 7 თებერვალს, უსაფრთხო ინტერნეტის დღის აღსანიშნავად, IDFI-მ სოციალური ქსელების მეშვეობით ფართოდ გაავრცელა **ციფრული უსაფრთხოებისა და ციფრული ჰიგიენის შესახებ მომზადებული სახელმძღვანელო და ვიზუალიზაცია.** გარდა ამისა, IDFI-ს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო ციფრული უსაფრთხოებისადმი მიძღვნილ სატელევიზიო გადაცემაში და აუდიტორიას აუხსნა პერსონალური მონაცემების ონლაინ დაცვის გზები, ძირითადი ციფრული საფრთხეები და მათი პრევენციის გზები. გარდა ამისა, IDFI-ს წარმომადგენელმა მონაწილეობა მიიღო კიდევ ერთ სატელევიზიო გადაცემაში, რომელიც ეძღვნებოდა კიბერუსაფრთხოების მთავარ გამოწვევებს საქართველოში, სადაც აქცენტი გაკეთდა ქალებისა და ბავშვებისთვის რელევანტურ საჭიროებებზე.

ციფრული წიგნიერების ასამაღლებლად გამართული აქტივობებისა და აუდიტორიის გაფართოების მიზნით, IDFI-მ მოამზადა და ფართოდ გაავრცელა **3** ვიდეო სამ მნიშვნელოვან თემაზე:

- ძლიერი პაროლები
- ფიშინგი
- როგორ შევამოწმოთ ვებგვერდების სანდოობა

ვიდეოები მიმოიხილავს ძირითად ციფრულ საფრთხეებს და მოიცავს პრაქტიკულ და სასარგებლო რჩევებს/რეკომენდაციებს, თუ როგორ შევამსუბუქოთ და თავიდან აიცილოთ ეს რისკები/გამოწვევები.

გარდა ამისა, 2023 წლის 16 მაისს IDFI-მ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის ჩაატარა ტრენინგი **ციფრული უფლებებისა და ციფრული წიგნიერების შესახებ.** ღონისძიების განმავლობაში ტრენინგის მონაწილეებს მიეწოდათ როგორც თეორიული (ციფრული უფლებების საფუძვლები, ამ სფეროსთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის უნიკალური ასპექტები და ძირითადი ციფრული გამოწვევები საქართველოში), ასევე პრაქტიკული (სხვადასხვა ციფრული პლატფორმის, სოციალური ქსელებისა და ელექტრონული მოწყობილობების უსაფრთხოდ გამოყენების რჩევები) ინფორმაცია.

გარდა ამისა, ესტონეთის პარტნიორ ორგანიზაცია E-Governance Academy-თან თანამშრომლობითა და Luminate-ის მხარდაჭერით, 2023 წლის 20 აპრილს IDFI-მ მოაწყო ონლაინ სემინარი **თემაზე *კიბერუსაფრთხოება სამოქალაქო საზოგადოებისთვის: საფრთხეები და რეაგირება.*** ღონისძიებას ესწრებოდნენ სამოქალაქო საზოგადოების, სახელმწიფო უწყებებისა და მედიის წარმომადგენლები. სემინარი მიზნად ისახავდა დამსწრეთა ცნობიერების ამაღლებას 2023 წლის კიბერუსაფრთხოების მთავარი საფრთხეების შესახებ. მათ ასევე მიეწოდათ პრაქტიკული რჩევები ციფრულ სივრცეში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დასაცავად.

მეხსიერების და დეზინფორმაციის კვლევები

მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულება აქტიურად მუშაობდა საბჭოთა წარსულისა და მისი მემკვიდრეობის კვლევის კუთხით, საარქივო ღიაობის გაუმჯობესებასა და თანამედროვე დეზინ-ფორმაციული კამპანიების ანალიზზე. მიმართულება სწავლობს და ავრცელებს ტოტალიტარული რეჟიმის მსხვერპლთა ისტორიებს, ახორციელებს მეხსიერების პოლიტიკის ადვოკატირებას, უკვდავყოფის კამ-პანიებს და პასუხობს იმ გამოწვევებს, რომლებიც ქვეყნისა და რეგიონის წინაშე ეტაპობრივად დგება. ორგანიზაცია რეგულარულად აქვეყნებს კვლევით სტატიებს საბჭოთა წარსულის, კოლექტიური მეხ-სიერებისა და რუსული დეზინფორმაციის შესახებ.

არქივების ღიაობა / ადვოკატირება

2023 წელს საქართველოს სახელმწიფო არქივების ხელმისაწვდომობა, წინა წლებთან შედარებით, გაუ-არესდა. IDFI-ს მკვლევრები და პარტნიორები სხვადასხვა ქვეყნიდან არქივებთან წვდომისა და სასურველ მასალებთან მუშაობისას ბარიერებს წააწყდნენ. IDFI-მ არაერთი შემთხვევა დააფიქსირა, როდესაც უცხოელ მკვლევრებს უარი ეთქვათ სახელმწიფო არქივებთან წვდომაზე.

IDFI-ს რამდენიმე აქტივობა, რომელიც პირდაპირ იყო დამოკიდებული საარქივო კვლევაზე, შეჩერდა, რადგან სახელმწიფო არქივებმა უარი თქვეს მკვლევრების მიღებაზე ან არაგონივრული მიზეზი დაასახელეს დოკუმენტების მიწოდებაზე. 2024 წელს ორგანიზაცია გეგმავს ამ მიმართულებით ადვოკატირების კამპა-ნიის განახლებას.

IDFI-სა და საზოგადოება „საქართველოს მემორიალის“ რამდენიმე წლიანი ადვოკატირების შედეგად, 2024 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შესული ცვლილებების მიხედვით, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა საყოფაცხოვრებო სუბსიდია 7 ლარიდან - 40 ლარამდე გაიზრდება.

მეხსიერების კვლევები

IDFI-მ, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და თბილისის სახელმწიფო უნივერსი-ტეტთან თანამშრომლობით, გამოსცა მემორიალური ალბომი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს პირ-ველი დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილ პოლიტიკურ მოღვაწეს, საგარეო საქმეთა მინისტრს, საგანგებო და სრულუფლებიან ელჩს საფრანგეთში - აკაკი ჩხენკელს (1874- 1959). მემორიალური ალბომის პრეზენტაცია 2023 წლის 18 იანვარს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა.



2023 წლის 25-28 იანვარს, IDFI-ს ინიციატივით, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასთან და საფრანგეთში საქართველოს საელჩოსთან პარტნიორობით, საფრანგეთში გაიმართა საქართველოს პირველი რესპუბლიკისადმი მიძღვნილი ღონისძიებები. ღონისძიებების ფარგლებში, პარიზის სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი კვლევების სკოლაში (EHESS) გაიმართა აკაკი ჩხენკელის მემორიალური ალბომის პრეზენტაცია. 28 იანვარს, ლევილ-სურ-ორჟის კომუნაში დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო მერიაში გამართულ ოფიციალურ ღონისძიებაში.

2023 წლის 22-23 ივნისს კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრის (CRRC) მე-9 წლიური კონფერენცია - „ახალი საზღვრები: სამხრეთ კავკასია ახალი გამოწვევების ფონზე“ გაიმართა, სადაც მრგვალი მაგიდის დისკუსიის - „საარქივო ხელმისაწვდომობა და ღიაობა კავკასიასა და ევრაზიაში“ ფარგლებში, IDFI-ს მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულების ხელმძღვანელმა, ანტონ ვაჭარაძემ მოხსენება წარადგინა.

2023 წლის 2 ოქტომბერს IDFI-მ პარიზის სოციალურ მეცნიერებათა უმაღლესი კვლევების სკოლის (EHESS) აღმოსავლეთ ევროპის, რუსეთის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის კვლევითი ცენტრის (CERCEC) წარმომადგენლებს უმასპინძლა. შეხვედრას საქართველოში სასწავლო ვიზიტით მყოფი აკადემიური სფეროს წარმომადგენლები ესწრებოდნენ. შეხვედრის მთავარი თემა არქივების ღიაობასა და ამ კუთხით სახელმწიფო პოლიტიკას შეეხებოდა. მხარეებმა ისაუბრეს საბჭოთა რეპრესიებზე, დანაშაულებზე, დისიდენტებზე, ბოლოდროინდელ ომებზე კავკასიაში, უკრაინის ომთან დაკავშირებულ მიგრაციულ პროცესებზე და ბევრ სხვა კვლევით შესაძლებლობებზე.

2023 წლის 21 ივლისს, მწერალთა სახლში, IDFI-მ „სტალინური სიების“ განახლებული ვებგვერდის პრეზენტაცია გამართა. „სტალინური სიები“ მოიცავს 1937 -1938 წლებში საქართველოში „დიდი ტერორის“ მსხვერპლი 3,616 პირის შესახებ მონაცემებს, საარქივო მასალებსა და ფოტოსურათებს. პლატფორმა დაინტერესებულ პირებს საშუალებას აძლევს მოიძიონ ინფორმაცია მათი წინაპრების შესახებ, რომლებიც 1937-1938 წლების რეპრესიების მსხვერპლნი გახდნენ.

2022-2023 წლების სასწავლო წელს, საქართველოს უნივერსიტეტთან (UG) თანამშრომლობით მიმდინარეობდა პროგრამა - „დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კვლევა: ისტორია, თეორიები და გაბათილების საშუალებები“. ანტონ ვაჭარაძე უძღვებოდა კურსს „არქივები, ფაქტები და მედია“, რომელიც 2023 წლის გაზაფხულის სემესტრში 8 სტუდენტმა გაიარა.

IDFI-ს ორგანიზებით, EU4Dialogue პროექტის - „ისტორიკოსებს შორის დიალოგის პლატფორმის“ („Platform for Dialogue Between Historians“) 20-ზე მეტმა მონაწილე ისტორიკოსმა კავკასიის რეგიონიდან და ევროპის ქვეყნებიდან აჭარაში აღმოჩენილი მასობრივი სამარხები დაათვალიერეს. პლატფორმის

შეხვედრა ასევე მოიცავდა დისკუსიებს მეხსიერების კვლევებში თანამშრომლობის შესახებ.

8-11 თებერვალს IDFI-ს წარმომადგენლებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო კონფერენციაში „კომუნისტური ტერორის ნეკროპოლისი“, რომელიც ესტონეთის ისტორიული მეხსიერების ინსტიტუტისა და „სანქტ-პეტერბურგის მემორიალის საინფორმაციო და კვლევითი ცენტრის/იოფეს ფონდის“ ორგანიზებით ქ. ტალინში გაიმართა. IDFI-ს ანალიტიკოსმა ედგარ ბრუტიანმა წარადგინა მოხსენება საქართველოში საბჭოთა ტერორის მსხვერპლთა ხსოვნის პრაქტიკის შესახებ. ანტონ ვაჭარაძემ პანელზე „ტერორის მსხვერპლთა ნეშტების ძებნა, იდენტიფიკაციის საკითხები“ წარადგინა პრეზენტაცია თემაზე - „საქართველოში მასობრივი საფლავების კვლევა 2017- 2022 წლებში“.

2023 წლის 17-19 მარტს, ანტონ ვაჭარაძემ, ყირგიზეთში, ქალაქ ბიშკეკში მონაწილეობა მიიღო მეხსიერების კვლევების საერთაშორისო ორგანიზაცია ესიმდეს (Эсимде) ორგანიზებით გამართულ კონფერენციაში - „მეხსიერების ხიდზე“.

2023 წლის 4 მაისს, ტელეგრამ არხის «О стране и мире»-ის ორგანიზებულ შეხვედრაზე, ანტონ ვაჭარაძემ ისაუბრა კვლევაზე - „ანტიდასავლური პროპაგანდის საბჭოთა საწყისები“. კვლევა განხორციელდა ომისა და მშვიდობის გაშუქების ინსტიტუტის (IWPR) მიერ დაფინანსებული პროექტის „ანტიდასავლური პროპაგანდის ფესვების“ ფარგლებში, საქართველოს უნივერსიტეტის (UG) საგამოძიებო მედია ლაბთან თანამშრომლობით.

2023 წლის 7-9 ივნისს, გერმანია/ავსტრიაში დაფუძნებული კვლევითი ქსელის „საბჭოთა ამბივალენტურობა: დიასპორული ეროვნებები დისკრიმინაციის კოლექტიურ გამოცდილებასა და ინდივიდუალურ ნორმალიზებას შორის, 1953-2023 წლებში“ და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის თანამშრომლობის ფარგლებში, კონფერენცია „საბჭოთა ამბივალენტურობა“ გაიმართა. პანელის „საბჭოთა მოგონებები და წარსულის ინსტრუმენტალიზაცია“ ფარგლებში, ანტონ ვაჭარაძე წარსდგა მოხსენებით „საბჭოთა ტერორის მსხვერპლთა ხსოვნა საქართველოში“.

2023 წლის 8-11 აგვისტოს, IDFI-ს წარმომადგენლები ვიზიტით იმყოფებოდნენ პარტნიორ ორგანიზაციებში პოლონეთში, ქალაქ ვარშავაში. IDFI-ს აღმასრულებელი დირექტორი, გიორგი კლდიაშვილი და ანტონ ვაჭარაძე ახლოს გაეცნენ პარტნიორი ორგანიზაციების მუშაობას, ისაუბრეს სამომავლო გეგმებზე და შეათანხმეს უკვე არსებული პროექტების დეტალები.

20-21 სექტემბერს, IDFI-მ, ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდის დაფინანსებული პროექტის - „სამხრეთ კავკასიისა და ვიშეგრადის ქვეყნების საერთო მეხსიერება - ოკუპანტები თუ განმათავისუფლებლები? დემოკრატია თუ ტირანია?“ ფარგლებში, შეხვედრები გამართა პარტნიორ ორგანიზაციებთან ჩეხეთიდან, სომხეთიდან, სლოვაკეთიდან, უნგრეთიდან და პოლონეთიდან. შეხვედრებზე პარტნიორმა ორგანიზაციებმა ერთმანეთს თავიანთი საქმიანობის სფერო გააცნეს და პროექტის ფარგლებში შემუშავებულ სამოქმედო გეგმაზე ისაუბრეს. პროექტის ფარგლებში დაიგეგმა მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილ-

მის გადაღება, რომელიც განკუთვნილი იქნება ქართულ სკოლებში პრეზენტაციისთვის. გარდა ამისა, მომზადდება ანალიტიკური ნაშრომები და ითარგმნება ინგლისურ, პოლონურ, ჩეხურ და სლოვაკურ ენებზე.

2023 წლის 5-6 ოქტომბერს, ბათუმში, IDFI-მ, პოლონეთის იულიუშ მიეროშევსკის სახელობის დიალოგის ცენტრის (Centrum Dialogu im. Juliusza Mieroszewskiego) ფინანსური მხარდაჭერით, საერთაშორისო კონფერენცია „სიმართლის გამოვლენა: დიდი ტერორის მასობრივი სამარხები (1937-1938) საქართველოში, ქ. ბათუმში“ გამართა. კონფერენციის მიზანი საქართველოს საბჭოთა წარსულის შესწავლა, კვლევა და ქვეყნის დეკომუნიზაციაში წვლილის შეტანა იყო. კონფერენციაში მონაწილეობდნენ პოლონეთის ელჩი საქართველოში, მარიუშ მაშკიევიჩი, აკადემიური წრის წევრები და დარგის ექსპერტები. კონფერენციის მთავარი მომხსენებელი იყო იან რაჩინსკი, მშვიდობის ნობელის პრემიის ლაურეატი ისტორიულ-საგანმანათლებლო და ადამიანის უფლებათა ორგანიზაცია „საერთაშორისო მემორიალის“ თავმჯდომარე.

2023 წლის 16 ოქტომბერს IDFI-სა და აშშ-ს Northwestern University-ს ერთობლივი ონლაინ ღონისძიება „ომის კვალდაკვალ: გეოპოლიტიკის ცვლილება სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში“ გაიმართა. ღონისძიების სპიკერთა შორის იყვნენ მიჩიგანის უნივერსიტეტის პროფესორი რონალდ სუნი; აშშ-ის ყოფილი ელჩი აზერბაიჯანში, ამჟამად ჯორჯ მეისონის სახელობის უნივერსიტეტის პროფესორი რიჩარდ კაუზლარიჩი; თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი გიორგი მჭედლიშვილი და Northwestern University-ს ასოცირებული პროფესორი ოლგა კამენჩუკი. შეხვედრას მოდერაციას უწევდა საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩი, იან კელი.

2023 წლის 3 ნოემბერს IDFI-მ ერევნის სახელმწიფო უნივერსიტეტის (YSU) ინოვაციური სოციალური კვლევის ცენტრთან თანამშრომლობის მემორანდუმი გააფორმა. IDFI და ინოვაციური სოციალური კვლევის ცენტრი (CISR) იმუშავებენ ერთობლივ პროექტებზე, რომელთა მიზანია კომუნისტური რეჟიმის დროს რეპრესირებულებთან ან ომებით დაზარალებულ პირებთან ინტერვიუების ჩაწერა.

2023 წლის 11 დეკემბერს პოლონეთში, ქალაქ ვარშავაში, „აღმოსავლური სახლის ვიტრინის“ ორგანიზებით ანტონ ვაჭარაძის ლექცია გაიმართა, თემაზე - „1937-1938 წლებში ბათუმში რეპრესირებულთა მასობრივ სამარხზე ჩატარებული არქეოლოგიური და ანთროპოლოგიური კვლევა“. შეხვედრაზე ასევე გაიმართა რადიო თავისუფლების ფილმის „დახვრეტილთა სასაფლაო ბათუმში“ ჩვენება.

2023 წლის 11-16 დეკემბერს, ანტონ ვაჭარაძე და ბათუმისა და ლაზეთის ეპარქიის წარმომადგენლები პოლონეთში გაცნობითი ხასიათის ვიზიტით იმყოფებოდნენ. ვიზიტი მიზნად ისახავდა საუკეთესო პრაქტიკებისა და მუზეუმების გაცნობას, რომლებიც პოლონეთში კომუნისტური და ნაცისტური რეჟიმების მსხვერპლთა ხსოვნას ეძღვნება. ამ მხრივ პოლონეთი მოწინავე ქვეყანაა, რომელიც დიდ ყურადღებას უთმობს მუზეუმების შექმნას. მუზეუმები მეხსიერების შენარჩუნების გარდა, ემსახურება საგანმანათლებლო

და ინტერაქციულ მიზნებს. ეპარქიისა და IDFI-ს მიზანია, გამოავლინონ მუზეუმისა და მემორიალური სასაფლაოს საუკეთესო პრაქტიკა და შეიმუშაონ რეკომენდაციები, რომლებსაც წარუდგენენ აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში აღმოჩენილი მასობრივი სამარხების საკითხზე შექმნილ კომისიას.

2023 წლის 22-24 თებერვალს, IDFI-მ საბჭოთა ოკუპაციის დღისადმი მიძღვნილი კვირეულის ფარგლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის N8 საჯარო სკოლაში, თბილისში - ათასწლეულის სკოლასა და საერთაშორისო ქართულ სკოლაში (IGS), საჯარო ლექცია „საბჭოთა ოკუპაცია და მისი შედეგები საქართველოს მეხსიერებაში“ და „რადიო თავისუფლების” ფილმის „დახვრეტილთა სასაფლაო ბათუმში“ ჩვენება გამართა.

2023 წლის 27 ოქტომბერს, IDFI-მ, მასწავლებლის ეროვნულ დღესთან დაკავშირებით, სამოქალაქო განათლების პედაგოგი, მასწავლებლის ეროვნული ჯილდო - 2023-ის ფინალისტი, ნინო ნიპარიშვილი საბჭოთა რეპრესიების შესახებ ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის სამახსოვრო სიგელით დააჯილდოვა და პლანშეტური კომპიუტერი გადასცა.

2023 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ქუთაისსა და აკაკი ჩხენკელის სახელობის ხონის მეორე საჯარო სკოლაში, IDFI-მ რეგიონული ინიციატივების ცენტრ „ნათელ მომავალთან” თანამშრომლობის ფარგლებში, აკაკი ჩხენკელის მემორიალური ალბომის პრეზენტაცია გამართა.

2023 წლის დეკემბერში, მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევების მიმართულებამ გამოაცხადა ესეების კონკურსი: „დეზინფორმაციის როლი ისტორიული მეხსიერების ფორმირებაში“. კონკურსის მიზანია სტუდენტებში მეხსიერებისა და დეზინფორმაციის კვლევის წახალისება და პოპულარიზაცია და საზოგადოებაში წარსულისა და თანამედროვეობის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

2016 წლიდან IDFI-მ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოს „სამხედრო ცენტრის“ წევრების შესახებ ცნობიერების ამაღლებაში. 2023 წელს საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, „სამხედრო ცენტრის“ წევრებს საქართველოს ეროვნული გმირის წოდება მიენიჭათ.

2023 წელს IDFI-მ გამოაქვეყნა არაერთი ვიზუალური მასალა მეოცე საუკუნისა და უახლესი ისტორიის სხვადასხვა მნიშვნელოვან მოვლენასთან დაკავშირებით: საქართველოში დამოუკიდებლობის აღდგენის რეფერენდუმის დღე, უკრაინის დამოუკიდებლობის დღე, საქართველოს კონსტიტუციის დღე, IDFI-ს ადვოკატირების შედეგად პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა საყოფაცხოვრებო სუბსიდიის ზრდა, პროექტის „აღმოაჩინე გორის“ ფარგლებში შექმნილი 5 ვიდეო გორის ისტორიული მნიშვნელობის ხაზგასასმელად, „სამხედრო ცენტრის“ წევრებისთვის ეროვნული გმირის წოდების ინიციატივა, რეპრესირებულთა ისტორიები და ა.შ.

IDFI-ს ვებგვერდებზე გამოქვეყნდა 6 სტატია საბჭოთა, მეხსიერებისა და დეზინფორმაციული კვლევების შესახებ: ევგენი ზახაროვი: 24 მარტს შეიქმნა ინიციატივა „ტრიბუნალი პუტინისთვის“, 9 აპრილი - გამოხმაურებები და გავლენა, რეპრესირებული მეცნიერი - სტეფანე პეტრეს ძე ყირქესალი (1890-1937), სტალინი: „უპურო მიწა“ და „ბურჟუაზიის მოკრძალებული ხიბლი“, 1937 წლის 22 ნოემბრის „სტალინური სია“, კაციჭამიების დრო: ჰოლოდომორი და საბჭოთა ადამიანის დაბადება.

დეზინფორმაციის კვლევები

2023 წელს, ახალქალაქში, თბილისში, გარდაბანში, ბოლნისში, საგარეჯოსა და მარნეულში IDFI-მ, NATO Public Diplomacy Programmes/Division-ის დაფინანსებული პროექტის - „ეთნიკურ უმცირესობებში დეზინფორმაციასთან საბრძოლველად ბარიერების დაძლევა“ - ფარგლებში საინფორმაციო შეხვედრები გამართა. პროექტის მიზანი იყო ეთნიკური უმცირესობების თემების წარმომადგენელთა მედეგობის უზრუნველყოფა დეზინფორმაციის მიმართ, ნატოსა და მისი მისიის შესახებ ცნობიერების ამაღლება საქართველოში. პროექტში აზერბაიჯანელი და სომეხი ეთნიკური უმცირესობების 240-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა. ტრენინგების გარდა, IDFI-მ გადაიღო 2 ვიდეო აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ვიდეოები გავრცელდა სხვადასხვა არხით, მათ შორის ინტერნეტით, სოციალური მედიითა და ტელევიზიით. ვიდეოს ჩვენება განხორციელდა ტრენინგების ადგილზე ვიზიტების დროს. მიუხედავად იმისა, რომ ზუსტი მონაცემები არ არის ხელმისაწვდომი, სხვადასხვა დაკვირვებით, ვიდეოები სულ მცირე 200,000-ჯერ მაინც იქნა ნანახი.

ასევე დეზინფორმაციის შესახებ სტატიები, ბლოგები და ვიდეოები გამოქვეყნდა IDFI-ს მიერ შექმნილ ვებგვერდზე www.damoukidebloba.ge.

საგანმანათლებლო და სასერტიფიკატო პროგრამა: „დეზინფორმაციისა და პროპაგანდის კვლევა: ისტორია, თეორიები და გაბათილების საშუალებები“

2023 წელს გაგრძელდა IDFI-სა და საქართველოს უნივერსიტეტის (UG) ერთობლივი პროგრამის - დეზინფორმაცია და პროპაგანდა კვლევები: ისტორია, თეორიები და გაბათილების საშუალებები - გაზაფხულის სემესტრი. პროგრამაში ჩართული იყო 24 მონაწილე, რომლებიც წარმოადგენდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტს, რეგიონულ მედიასაშუალებას, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციასა და საჯარო დაწესებულებას. პროგრამის ფარგლებში, მაისში, შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში ვიზიტი განხორციელდა, სადაც მონაწილეები გაეცნენ საარქივო მუშაობის ფორმატსა და მახასიათებლებს, ასევე საარქივო დოკუმენტაციის სახეებს. 2023 წლის ივლისში პროგრამა დასრულდა და სასწავლო კურსის მონაწილეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

ინფორმაციის სანდოობის კოალიცია

2023 წლის განმავლობაში IDFI მონაწილეობდა „ინფორმაციის სანდოობის კოალიციის“ საქმიანობაში. ორგანიზაციის წევრები დაესწრნენ კოალიციის ეგიდით გამართულ ათობით შეხვედრას, მონაწილეობა მიიღეს ევროინტეგრაციის ხელშეწყობის კამპანიებსა და ღონისძიებებში და წვლილი შეიტანეს პოლიტიკის დოკუმენტებისა და განცხადებების ტექსტების შემუშავებაში. 2023 წლის 1 მაისიდან 31 ოქტომბრის ჩათვლით IDFI ასრულებდა კოალიციის თავმჯდომარე ორგანიზაციის ფუნქციებსა და მოვალეობებს და კოორდინაციას უწევდა მის საქმიანობას.

2023 წლის 14 თებერვალს, გორის გიორგი ერისთავის სახელობის დრამატულ თეატრში გაიმართა პროექტის „აღმოაჩინე გორი“ პრეზენტაცია. ქალაქის კულტურული იდენტობის უკეთ წარმოჩენის მიზნით, პროექტმა „აღმოაჩინე გორი“ გააცოცხლა გორში საკვანძო ადგილები და პიროვნებები, რომლებიც ხაზს უსვამენ ქალაქის მნიშვნელობას ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. პროექტის ფარგლებში, სხვადასხვა ისტორიულ ადგილას განთავსდა საინფორმაციო დაფები ქალაქის ისტორიებით. გარდა ამისა, შეიქმნა „იდენტობის რუკა“ და ვებგვერდი www.gorimaps.ge, სადაც შეხვდებით ფოტო და ვიდეო მასალებს, ასევე საარქივო დოკუმენტებს რეგიონის შესახებ. 14 თებერვალს ისტორიკოსებს, გიდებს, მედიისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცათ, გასცნობოდნენ ახალ მიმართულებებს და ქალაქის ალტერნატიულ ტურს. 24 მარტს კი ხელოვნების სახლში, IDFI-მ ქალაქ გორსა და გორის რაიონში მცხოვრებ მასწავლებლებს პროექტის ფარგლებში შექმნილი ვებგვერდი www.gorimaps.ge წარუდგინა.

2023 წელს დასრულდა კვლევა „რუსული კაპიტალი და რუსული კავშირები ქართულ ბიზნესში“, რომლის პრეზენტაცია და ძირითადი მიგნებების წარდგენა 6 ივნისს „კოალიცია ინფორმაციის სანდოობისთვის“ ორგანიზებული კონფერენციის ფარგლებში განხორციელდა. პროექტის ძირითადი მიზანი იყო სხვადასხვა სექტორში რუსეთის მოქალაქეების საკუთრებაში არსებული საქართველოში მოქმედი კომპანიების მუშაობის, რესურსებისა და კავშირების შესწავლა.

IDFI-მ 2022 წელს განახორციელა პროექტი „სოლიდარობის ბრენდინგი - შიდა ქართლის რეგიონში, ოკუპირებული ტერიტორიების ახლოს მცხოვრები მეწარმეების ხელშეწყობა“, რომლის ფარგლებშიც წარმოებულმა კამპანიამ „გმირობის ნაყოფი“ 2023 წელს წარმატება მოიპოვა საერთაშორისო ასპარეზზე და დაიმსახურა რამდენიმე ჯილდო პრესტიჟულ ფესტივალებზე: Ad Black Sea 2023 - 2 ვერცხლის და 1 ბრინჯაოს მედალი, Jolbors Festival 2023 - ოქროს და ვერცხლის ჯილდოები და The Anthem Awards-ის ოქროს მედალი - გამარჯვებული ეროვნული ცნობიერების ამაღლების კამპანიაში.

კონსულტაციები

- გაიცა, დაახლოებით, 115 სამართლებრივი კონსულტაცია ინფორმაციის თავისუფლების, კანონის უზენაესობისა და სახელმწიფო ინსტიტუტების დამოუკიდებლობასთან დაკავშირებულ საკითხებზე;

- 2023 წელს, ინტენსიური პრაქტიკული სწავლების ფარგლებში, 4 დღიანი ტრენინგ-კურსი გაიარა 15-მა ჟურნალისტმა. ტრენინგები ჩატარდა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სისტემურ გამოწვევებთან გამკლავების მიზნით;

- 15-ზე მეტ ჟურნალისტსა და 10 სტუდენტს, ასევე დაახლოებით 30 საჯარო მოხელეს გაეწია კონსულტაცია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და მონაცემების ანალიზის საკითხებზე ელ-ფოსტითა და სატელეფონო კომუნიკაციით;

- IDFI-მ განახორციელა დაახლოებით 250 კონსულტაცია მეხსიერების, დეზინფორმაციისა და საბ-ჭოთა კვლევებთან დაკავშირებით. საქართველოსა და უცხოეთის მოქალაქეებს IDFI დაეხმარა რეკომენდაციებით, ადვოკატირებითა და საარქივო დოკუმენტების მოძიებით. ათობით მათგანის დახ-მარება საჭიროებდა ხანგრძლივ ჩართულობას. კონსულტაციები ჩატარდა პირადად (70-მდე კონ-სულტაცია), ონლაინ (ფეისბუქ მესენჯერი, ელ. ფოსტა, Zoom და ა.შ. – სულ 120-მდე კონსულტაცია) და სატელეფონო ზარის საშუალებით (60-მდე კონსულტაცია).

IDFI-ს დონორი ორგანიზაციები

- ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში
- Global Partners Digital
- Deloitte Consulting LLP / USAID
- Research ICT Africa
- Luminate
- იულიუშ მიეროშევსკის დიალოგის ცენტრი
- შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო
- ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი
- Post Bellum / ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი
- კორეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო
- სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი (Civil Society Forum e.V.)
- NATO Public Diplomacy Programmes
- ჩეხეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო
- Zinc Network / USAID
- გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)
- აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (EWMI) / USAID
- საერთაშორისო მედიის მხარდაჭერა (IMS)
- ინტერნიუსი / USAID
- ელექტრონული მმართველობის აკადემია / Luminate

2023 წელს
დაწყებული პროექტები

საჯარო ინფორმაციაზე მედიის ხელმისაწვდომობის გაზრდა საქართველოში

დონორი ორგანიზაცია: ნიდერლანდების სამეფოს საელჩო საქართველოში

პროექტი მიზნად ისახავს ჟურნალისტებისთვის საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის გაზრდასა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სისტემური სამართლებრივი დაბრკოლებების შემცირებას. მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჟურნალისტიკის გაძლიერება და ბრძოლა საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სისტემურ გამოწვევებთან პროექტის მთავარ ამოცანას წარმოადგენს.

ხელოვნური ინტელექტის გლობალური აღვოკატირების ქვეგრანტი

დონორი ორგანიზაცია: GLOBAL PARTNERS DIGITAL

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ხელოვნური ინტელექტის მიმართ ადამიანის უფლებებზე ორიენტირებული მიდგომის დაწინაურებას საერთაშორისო დისკუსიებში.

ღია სამთავრობო მონაცემების (OGD) კვლევა

დონორი ორგანიზაცია: DELOITTE CONSULTING LLP, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) კონტრაქტორი, USAID-ის ეკონომიკური მმართველობის პროგრამის ფარგლებში.

პროექტის მიზანია მხარი დაუჭიროს ღია მონაცემებზე დაფუძნებული ინოვაციური სერვისების შექმნას და ამით ხელი შეუწყოს ბიზნეს სექტორის საჭიროებებიდან გამომდინარე ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას.

პროექტის სახელწოდება: პასუხისმგებლიანი AI-ის გლობალური ინდექსი: რეგიონული კვლევითი ჰაბი

დონორი ორგანიზაცია: RESEARCH ICT AFRICA

პროექტის მიზანია პასუხისმგებლიანი AI-ის გლობალური ინდექსის (GIRAI) გლობალური პროექტის ფარგლებში IDFI-ის მიერ აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონული ჰაბის როლის შეთავსება და გლობალურ კვლევაში მონაწილეობა. აღნიშნული კვლევის მიზანია შექმნას ყოვლისმომცველი, სანდო, დამოუკიდებელი და შედარებითი საბაზისო მაჩვენებლები პასუხისმგებლიანი ხელოვნური ინტელექტის მიმართულებით მსოფლიოს ქვეყნებში პროგრესის შესაფასებლად.

კონფერენციის, „სიმართლის გამოვლენა: დიდი ტერორის მასობრივი სამარხები (1937–1938) საქართველოში, ქ. ბათუმში“ ორგანიზება და აჭარაში დიდი ტერორის მსხვერპლთა შესახებ წიგნის ერთობლივი გამოცემა

დონორი ორგანიზაცია: იულიუშ მიერეშევსკის დიალოგის ცენტრი, პოლონეთი

პროექტის მიზანია საბჭოთა წარსულის გააზრება და შესწავლა აჭარაში აღმოჩენილი, 1937-1938 წლების რეპრესიების მსხვერპლთა პირველი მასობრივი სამარხების პერსპექტივიდან.

ორგანიზაციული მხარდაჭერა

დონორი ორგანიზაცია: შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტო (SIDA)

პროექტის მიზანია პროექტის სახელმწიფოს ევროატლანტიკური ინტეგრაციის ხელშეწყობა, კორუფციასთან ბრძოლა, საჯარო დაწესებულებების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაუმჯობესება, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის გაზრდა, დემოკრატიული ინსტიტუტების დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ხელშეწყობა, კანონის უზენაესობის მაღალი სტანდარტების დამკვიდრება, ინკლუზიური ეკონომიკური პოლიტიკის მხარდაჭერა, დემოკრატიული დეცენტრალიზაციისა და დემოკრატიული ტრანზიციის პროცესების ხელშეწყობა, საბჭოთა წარსულის შესწავლა, ანალიზი და დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა, მედიისა და ადამიანის უფლებების დაცვა და გადაუჭრელი პრობლემების მოგვარების მიზნით ინოვაციების ხელშეწყობა.

ხელისუფლების ანგარიშვალდებულებისთვის სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება და გამჭვირვალობის სტანდარტების გაზრდა

დონორი: ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი და კორეის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრო

პროექტის მიზანია ადგილობრივი და რეგიონული ღონისძიებებით, ბენეფიციარი მესაკუთრეების სტანდარტების ადვოკატირება; საქართველოში მოქმედი სადამკვირვებლო ჯგუფებისა და ზოგადად საზოგადოების გაძლიერება.

სამხრეთ კავკასიის და ვიშეგრადის ქვეყნების საერთო მეხსიერება – ოკუპანტები თუ განმათავისუფლებლები? დემოკრატია თუ ტირანია?

დონორი ორგანიზაცია: ვიშეგრადის საერთაშორისო ფონდი

პროექტის მიზანია წარსულის მოწმეთა დოკუმენტირება სომხეთსა და საქართველოში, რომლებსაც შეუძლიათ გადმოსცენ საერთო კომუნისტურ წარსულთან დაკავშირებული ცხოვრებისეული ისტორიები, შემდგომში აღნიშნული ისტორიების გამოქვეყნება და საგანმანათლებლო მიზნებით გამოყენება.

ისტორიის სწავლება ომის პირობებში

დონორი ორგანიზაცია: სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი (CIVIL SOCIETY FORUM E.V.)

IDFI პასუხისმგებელი იყო პროგრამის Confronting Memories-ის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს ინგლისურიდან ქართულად თარგმნის კოორდინაციაზე.

ეთნიკურ უმცირესობებში დეზინფორმაციასთან საბრძოლველად ბარიერების დაძლევა

დონორი ორგანიზაცია: NATO PUBLIC DIPLOMACY PROGRAMMES/DIVISION

პროექტის მიზანი იყო ეთნიკური უმცირესობების თემების მდგრადობის ხელშეწყობა დეზინფორმაციის მიმართ და ნატოსა და მისი მისიის შესახებ ცნობიერების ამაღლება.

სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის შესაძლებლობების გაძლიერება ინფორმაციის თავისუფლებისა და სიტყვის თავისუფლების სფეროში

დონორი ორგანიზაცია: ჩეხეთის რესპუბლიკის საელჩო თბილისში, ჩეხეთის რესპუბლიკის ტრანზიციის პროგრამა

პროექტის მთავარ მიზანს წარმოადგენდა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის ეროვნულ იურისდიქციაში გამოყენების ხელშეწყობა, ასევე, სიტყვის თავისუფლებისა და ინფორმაციის თავისუფლების სტანდარტების გაუმჯობესება.

ინფორმაციის სანდოობის კოალიციის მმართველი კომიტეტის თავმჯდომარე

დონორი ორგანიზაცია: საქართველოს ინფორმაციის სანდოობის კოალიცია (GIIP)/USAID

ინფორმაციის სანდოობის კოალიციის სამეთვალყურეო კომიტეტის მუშაობის კოორდინაცია ექვსი თვის განმავლობაში.

საპარლამენტო პროექტი

დონორი ორგანიზაცია: გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP)

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს აჭარის უმაღლეს საბჭოს, 2021-2024 წლების ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიის განხორციელებაში, ეფექტიანი ზედამხედველობის გაძლიერებასა და ღია მმართველობის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებაში.

დეცენტრალიზაციისა და კარგი მმართველობის ხელშეწყობა საქართველოში ადგილობრივ დონეზე

დონორი ორგანიზაცია: UNDP საქართველო

პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ადგილობრივი თვითმმართველობების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების განვითარებასა და გაუმჯობესებას, და ასევე მხარი დაუჭიროს ადგილობრივ დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას.

სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა მონიტორინგის, ადვოკატირებისა და სამართალწარმოების გზით

დონორი ორგანიზაცია: USAID სამართლის უზენაესობის პროგრამა

პროექტის მთავარი მიზანი იყო სასამართლო აქტებზე ხელმისაწვდომობის გაზრდა მონიტორინგის, ადვოკატირებისა და სტრატეგიული სამართალწარმოების გზით.

ღია მონაცემების სტანდარტების ამაღლება და გამოყენების წახალისება საქართველოში – II ეტაპი

დონორი ორგანიზაცია: საერთაშორისო მედიის მხარდაჭერა (IMS)

პროექტის მიზანია ქვეყანაში ღია მონაცემების სტანდარტების (განსაკუთრებით, ბენეფიციარი მესაკუთრეების მონაცემების სტანდარტების) ადვოკატირება, დაინტერესებული მხარეებისთვის საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და კომუნიკაციის გზით.

ციფრული უფლებები საქართველოში – 2024

დონორი ორგანიზაცია: ინტერნიუსი (INTERNEWS) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID)

პროექტი მიზნად ისახავს საქართველოში ინტერნეტ თავისუფლების გაზრდას/ხელშეწყობას.

2023 წლის ფინანსური ანგარიში

შემოსავალი გრანტებიდან

1 882 894 ₾

სხვა საოპერაციო შემოსავალი

239 832 ₾

სულ შემოსავალი

2 122 726 ₾

მომსახურების ანაზღაურება	714,024 ₾
ხელფასები	306,721 ₾
კონსულტაცია და სხვა პროფესიული ხარჯები (თარჯიმნის, საკონსულტაციო მომსახურების, ექსპერტების ჰონორარი)	260,387 ₾
სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი თანხა (საშემოსავლო გადასახადი)	328,362 ₾
საპენსიო შენატანი	63,698 ₾
ღონისძიებები (კონფერენციები, პრეზენტაციები, სემინარები, ტრენინგები)	132,029 ₾
რეკლამა და პიარი (დიზაინი, ვიდეო, ბეჭდვა, გამოცემა, ჯილდოები, მარკეტინგი)	88,543 ₾
ცვეთა და ამორტიზაცია	72,374 ₾
ოფისის იჯარა	38,976 ₾
თანამშრომლების დაზღვევა	30,392 ₾
ფინანსური, საბუღალტრო და აუდიტორული მომსახურება	29,284 ₾
მოგზაურობა (საერთაშორისო მივლინება, დღიური ნორმა)	28,392 ₾

ვებ-გვერდის განვითარების ხარჯები	22,736 ₾
კომუნიკაციის ხარჯი	20,326 ₾
ტრანსპორტირება (ადგილობრივი მივლინება, საწვავი, სასტუმრო)	16,306 ₾
კომუნალური ხარჯი	13,969 ₾
სხვა საოფისე ხარჯები და ინვენტარი	10,282 ₾
საპროცენტო ხარჯი	7,929 ₾
სატრანსპორტო საშუალების ტექმომსახურება და დაზღვევა	3,206 ₾
საკანცელარიო ხარჯები	3,121 ₾
საბანკო ხარჯები	2,970 ₾
საფოსტო ხარჯები	2,035 ₾
სხვა ხარჯები	22,264 ₾
სულ საოპერაციო ხარჯები	**2,218,326 ₾**

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)

ტ. შევჩენკოს ქ. 20, 0108
თბილისი, საქართველო

+ 995 32 292 15 14

INFO@IDFI.GE

WWW.IDFI.GE